მომხმარებელთა დაცვასთან მიმართებაში მხოლოდ ორი ალტერნატივა რჩება: (1) ან სექტორული წესების უზრუნველყოფა და მომხმარებელთა დაცვის საკითხების იქ გაერთიანება მოხდეს, ან (2) რეგულირებულ ბაზრებზე მომსახურების ხელშეკრულებების (შესაძლოა სამომხმარებლო კრედიტთან, ტურისტულ პაკეტებთან და უძრავი ქონებით

²⁹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31840?impose=original>

არაერთჯერადად სარგებლობის (ტაიმშერის) ხელშეკრულებებთან³⁰ ერთად) დამოუკიდებელ მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონზე დელეგირება განხორციელდეს. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არ არსებობს ნათლად ჩამოყალიბებული პოლიტიკა. ზოგიერთი ქვეყანა, მაგ.: გერმანია, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობას სექტორებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში აერთიანებს. უარყოფითი მხარე ის გახლავთ, რომ ისინი „იკარგებიან“ იმ წესებში, რომლებიც მართავენ ბიზნესსა და ბიზნესს შორის, ასევე მარეგულირებელ ორგანოსა და შესაბამის ბიზნეს სექტორს შორის ურთიერთობებს. მაგალითად, საფრანგეთმა განსხვავებული გზა აირჩია. სამომხმარებლო სერვისები, რომლებიც რეგულირებული ბაზრების ცნების ქვეშ მოიაზრება, ინტეგრირებულია მომხმარებლის უფლებების დაცვის კოდექსში.

გ) მომხმარებლის უფლებების დაცვის სამართლის აღსრულება

მესამე ძირითადი სფერო, რომელიც მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონში უნდა იქნას ინტეგრირებული, არის მომხმარებლის უფლებების დაცვის კანონის აღსრულების რეგულირება. ევროკავშირის კანონმდებლობაში მრავლადაა წესები, თუმცა არასაკმარის დონეზე მიმდინარეობს მათი აღსრულება. სწორედ ამიტომ, მომხმარებლის უფლებების დაცვის ევროპული კანონმდებლობის ის მცირე ნაწილები, რომლებიც აღსრულებას შეეხება, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა: დირექტივა 93/13 და 2005/29 ითვალისწინებს უზრუნველყოფის ღონისძიებებს (action of injunction), დირექტივა 2009/22 ვრცელდება ევროკავშირის ტერიტორიაზე ტრანსსასაზღვრო დავებზე, 2006/2004 რეგულაციით ხდება მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეროვნულ სააგენტოებს შორის თანამშრომლობის რეგულირება. თუმცა, რეგულაციის მოქმედება ჯერ-ჯერობით მხოლოდ ეროვნულ ორგანოებს შორის მომხმარებელთა დაცვის სფეროში თანამშრომლობით შემოიფარგლება. კვლავაც აღვნიშნავთ, რომ უკიდურესი საშუალებაა უზრუნველყოფის ღონისძიებები. მოგვიანებით ევროკავშირმა მიიღო დირექტივა 2013/11 მომხმარებელთა დავების ალტერნატიული წესით გადაწყვეტის შესახებ და რეგულაცია 524/2013 დავების ონლაინ გადაწყვეტის შესახებ, რამაც სასამართლოების გარეთ დავის გადაწყვეტის ახალი შესაძლებლობა გააჩინა.

ევროკავშირის არც ერთ წევრ ქვეყანას არ გაუკეთებია ინვესტირება მომხმარებელთა საპროცესო ან მომხმარებელთა დავებთან დაკავშირებული კოდექსების, ან სხვა მსგავსი დოკუმენტის შემუშავებაში. დასავლეთის ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში შესაბამისი სამოქალაქო საპროცესო კოდექსები სამოქალაქო კოდექსების სარკვედ ითვლება. ინდივიდუალური კერძო მხარეები დაობენ და გამოსავალს სასამართლოში ეძებენ. მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონი და სამომხმარებლო პოლიტიკა ამგვარი გაგების მიღმა მრავალი მიმართულებით ვრცელდება. კოლექტიურ ორგანოებს კომპანიების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელების წარდგენის უფლებამოსილება

³⁰ ევროკავშირის დირექტივის (2008/122/EG) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ა ქვეპუნქტის შესაბამისად: (უმრავი ქონების) არაერთჯერადად სარგებლობის შესახებ ხელშეკრულება გულისხმობს ხელშეკრულებას, რომელიც ერთ წელზე მეტი ვადით იდება და რომლის საფუძველზეც მომხმარებელი ანაზღაურების სანაცვლოდ იღებს უფლებას ერთი ან მეტი ღამის გასათვები ადგილი არაერთჯერადად გამოიყენოს.

მიენიჭათ, რათა მომხმარებელთა კოლექტიური ინტერესების დაცვა განხორციელდეს, რაც მიზნად ისახავს ხელშეკრულების უსამართლო პირობების ან არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკის დასრულებას, ან კოლექტიური კომპენსაციის მიღებას. კოლექტიური ორგანო შესაძლოა იყოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაცია, სავაჭრო ორგანიზაცია ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ევროკავშირი განვითარების ამ პროცესის სათავეში იყო. უზრუნველყოფის ღონისძიებები ის მინიმალური სტანდარტია, რომელიც ყველა წევრმა სახელმწიფომ უნდა დაადგინოს. ჯერ-ჯერობით ევროკომისიამ ვერ შეძლო მხარდაჭერის მოპოვება კოლექტიური საკომპენსაციო სქემის შემოღებაში. 10 წლის განმავლობაში მიმდინარე განხილვებმა მხოლოდ არასავალდებულო რეკომენდაციის (2013/396 ზიანის კოლექტიურ ანაზღაურებაზე) შემუშავება მოიტანა შედეგად, რომელიც ხელს უწყობს „უარის თქმის“ საპირისპიროდ „თანხმობის მიცემის“ გამოსავლის დამკვიდრებას, რაც აშშ-ში (კოლექტიური სარჩელები) და ასევე ევროკავშირის რამდენიმე წევრ ქვეყანაში არსებობს ძალზე შეზღუდული პირობებით.

ევროკავშირი წევრი სახელმწიფოების ერთგვარი საერთო მახასიათებელია აღსრულების მექანიზმების დეფიციტი. რა გზაც არ უნდა აირჩიოს ქართველმა კანონმდებელმა, მიზანი არ შეიძლება იყოს ძვირადღირებული ბიუროკრატიული მექანიზმის შექმნა, რომელიც მრავალი დოკუმენტის შემუშავებას ახდენს, თუმცა მომხმარებელთა ეფექტიან დაცვას ვერ ახერხებს.

III. „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის მუხლობრივი ანალიზი

კანონის ჩვენთვის მოწოდებული თარგმანი არასრულყოფილია. მრავალი მაგალითიდან ერთს მოვიყვანთ. კანონპროექტში საუბარია “მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებაზე“, ხოლო კონტექსტიდან ნათელი ხდება, რომ ავტორები “ხელშეკრულებიდან გასვლაზე“ საუბრობენ. აქ შემდგომი კომენტარები შესაძლოა ზედმეტი იყოს, რადგან დასაშვებია, რომ კანონპროექტის ქართული ვარიანტი უფრო ნათლადაა ჩამოყალიბებული, ვიდრე ეს ინგლისურ თარგმანშია.

ის სტანდარტი, რომლის მიმართაც კანონპროექტი უნდა შეფასდეს, აღებულია მოდელური კანონიდან, რომელიც მ. კარანიკიჩმა, ნორბერტ რაიხმა და მე ZAP-ის პროექტის ფარგლებში შევიმუშავეთ, რომელსაც მაშინ რუთ ანა ბუტნერი ხელმძღვანელობდა.³¹ მოდელური კანონი განხილულია 2012 წლის კუბლიკაციაში³². ჩვენ შევძელით 2011/83 დირექტივის გათვალისწინება, ხოლო ევროკავშირის შესაბამისი საკანონმდებლო ღონისძიებები, რომლებიც ამ თარიღის შემდგომ იქნა მიღებული, მოდელურ კანონში არ არის გათვალისწინებული. ესენია:

დირექტივა 2014/17 იპოთეკაზე

დირექტივა 2014/65/EU MiFiD II (ბაზრები ფინანსურ ინსტრუმენტებში II) და MiFIR (ბაზრები ფინანსურ ინსტრუმენტებში და დებულება ცვლილებების შეტანის შესახებ) რეგულაცია 600/2014

დირექტივა 2014/92 საანგარიშსწორებო ანგარიშის შესახებ

დირექტივა 2015/2302 ტურისტული პაკეტების შესახებ

დირექტივა 2013/11 დავის ალტერნატიული წესით გადაწყვეტის შესახებ

დებულება 524/2013 დავების ონლაინ გადაწყვეტის შესახებ

რეკომენდაცია 2013/396 ზიანის კოლექტიურ ანაზღაურებაზე

თუმცა, ეს უარყოფითი მხარე არ არის, რადგან კანონპროექტი ძირითადად შემდეგ დირექტივებს ეხება, რომლებიც სრულად არის გათვალისწინებული მოდელურ კანონში:

დირექტივა 2011/83 დისტანციური და პირდაპირი გაყიდვის შესახებ

დირექტივა 93/13 უსამართლო პირობების შესახებ

დირექტივა 99/44 სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულებები

დირექტივა 2005/29 კომერციულ პრაქტიკაზე და დირექტივა 84/540 შეცდომაში შემყვანი რეკლამის შესახებ.

³¹ <http://www.zapotrosace.rs/en/about-us.php>. ტიერი ბურგუანიმ რუთ ანა ბუნერისაგან პროექტის ხელმძღვანელობა 2013 წელს გადაიბარა.

³² მ. კარანიკიჩი/ჰ. ვ. მიკლიცი/ნ. რაიხი, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონის მოდერნიზება - დასავლეთ ბალკანეთის გამოცდილება, ნომოს ბადენ-ბადენი, 2012, გვ 221-376.

იმისთვის, რომ გაიზარდოს მოდელურ კანონზე ხელმისაწვდომობა, ჩვენ ZAP-ის პროექტიდან და შესაბამისად, წიგნის ორიგინალიდან გადმოვიტანეთ ტიპიური კანონის დებულებები და ისინი GIZ-ის პროექტისთვის ხელმისაწვდომი გავხადეთ. ტიპიური კანონი მოხსენიებული იქნება, როგორც მოდელური კანონი.

მუხლი. 1 კანონის მიზნები

ქსართველოს კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ (2017 წლის თებერვლის მდგომარეობით)

მუხლი 1. კანონის მიზნები

ამ კანონის მიზანია:

- ა) მომხმარებლის უფლებების დაცვის სამართლებრივი საფუძვლებისა და სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა;*
- ბ) მომხმარებლის უფლებების დაცვის ორგანოების ეფექტიანად ფუნქციონირების პირობებისა და საზოგადოებრივი მონიტორინგის ჩამოყალიბება;*
- გ) მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქვეყნის კულტურის განვითარება;*
- დ) საქართველოში მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში საერთაშორისო და ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა.*

ის, რაც აქ არ არის გათვალისწინებული (იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი მუხლი უნდა არსებობდეს) არის მითითება „მომხმარებელთა დაცვის მაღალ ხარისხზე“, რომელიც განმტკიცებულია „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების“ (TFEU) 114-ე მუხლის მე-3 პარაგრაფში.

წინადადება:

ეს კანონი იცავს მომხმარებელთა ფუნდამენტურ უფლებებს. იგი ახდენს მომხმარებელთა დაცვის პირობებისა და საშუალებების ფორმულირებას; განსაზღვრავს მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების უფლება-მოვალეობებს; და ითვალისწინებს მომხმარებელთა დაცვის სფეროში სახელმწიფო ინსტიტუტების უფლებებსა და პასუხისმგებლობებს.

მუხლი 2. კანონის რეგულირების სფერო

ქსართველოს კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ (2017 წლის თებერვლის მდგომარეობით)

მუხლი 2. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე იმ ფიზიკური პირის უფლებების დაცვის ზოგად პრინციპებს, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედის მოვაჭრესთან მისი საქონლის ან მომსახურების პირადი მოხმარებისათვის გამოყენების მიზნით.

ის, რაც აქ იგულისხმება არის „მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონის არეალი“. რატომ იზღუდება არეალი სახელშეკრულებო ურთიერთობებით? აუცილებელია, სულ მცირე, წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობის რეგულაციაზე მითითების გაკეთება სსკ-ს 1009-1006 მუხლში, რადგან წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობა ასევე მომხმარებელთა დაცვას ისახავს მიზნად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არეალი ვრცელდება

მწარმოებლებზეც. მომსახურების გამწვევი პირი შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც „გამყიდველი“, თუმცა აუცილებელია განმარტება.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ქსაქართველოს კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ (2017 წლის თებერვლის მდგომარეობით)

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის ტერმინები გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობით:

- ა) მომხმარებელი - ფიზიკური პირი, რომელსაც სთავაზობენ ან რომელიც იძენს ან შემდგომ იყენებს საქონელს ან მომსახურებას პირადი მოხმარების, და არა მისი სამეწარმეო ან სხვა პროფესიული საქმიანობის მიზნით.*
- ბ) მოვაჭრე - სამეწარმეო ან სხვა პროფესიული საქმიანობის ფარგლებში საქონლის შემთავაზებელი ან/და გამყიდველი, ასევე, მომსახურების გამწვევი ფიზიკური ან იურიდიული პირი.*
- გ) საქონელი - ნებისმიერი მოძრავი ნივთი, მათ შორის მასში განთავსებული ან ელექტრონული ფორმით გავრცელებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.*
- დ) მომსახურება - მომხმარებლის პირადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად შეთავაზებული მომსახურება, რომელიც არ არის დაკავშირებული ჯანდაცვის, დაზღვევის ან სოციალური მომსახურების გაწევასთან, ასევე მომსახურების ისეთ სფეროსთან რომელშიც ფუნქციონირებს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო.}*

მუხლი 3 ა): მომხმარებლის ცნება სრულად ჰარმონიზებული არ არის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველო, ისევე როგორც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, სარგებლობენ დისკრეციით გააფართოონ მომხმარებლის უფლებების დაცვის წესების არეალი. ერთი ძირითადი საკითხია საქონლის შეძენა, რომელიც ორმაგ მიზანს ემსახურება: კერძოს და კომერციულს. აუცილებელია იმის უზრუნველყოფა, რომ ამ ორმაგი მიზნის მიღწევა შესაძლებელი იყოს იმ პირობით, რომ კერძო მიზანი დომინირებდეს.

წინადადება მე-3 მუხლთან დაკავშირებით:

- ა) მომხმარებელი გულისხმობს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც ხელშეკრულებებში, რომლებზეც ეს კანონი ვრცელდება, ძირითადად მოქმედებს იმ მიზნებისათვის, რომლებიც მისი საქმიანობის, ბიზნესის, ხელობის ან პროფესიის ფარგლებს გარეთაა.*

მუხლი 3. ბ) განსაზღვრავს საქონლის გამყიდველს, მაგრამ არა მომსახურების მიმწოდებელს.

წინადადება:

აუცილებელია მომსახურების მიმწოდებლის განმარტების ჩამატება.

მუხლი 3. დ)-ში წარმოდგენილია მომსახურების განმარტება. სოციალური მომსახურება და ის მომსახურებები, რომლებიც „ცალკე რეგულირდება დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მიერ“ გამოყენების სფეროში არ შედის. აქ ჩნდება შემდეგი პრობლემა: ევროკავშირმა ყოფილი სახელმწიფო მომსახურებების ლიბერალიზაცია და პრივატიზაცია მოახდინა რამდენიმე რაუნდად (ჯერ-ჯერობით 3, თუმცა მე-4 უკვე იგეგმება). იმის გარანტირებისთვის, რომ ყველა მოქალაქეს ჰქონოდა წვდომა ისეთ საბაზო

მომსახურებებზე, როგორცაა ტელეკომუნიკაციები, საფოსტო მომსახურებები, ენერგორესურსები, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ეთხოვათ იმის უზრუნველყოფა, რომ ამ მომსახურებების მიწოდება ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე მომხდარიყო. ევროკავშირის კანონმდებელმა შექმნა ტერმინი „უნივერსალური მომსახურებები“ და გაწერა მომხმარებელთა დაცვის ძირითადი უფლებები ხელმისაწვდომობასთან, გადახდისუნარიანობასთან და ამ მომსახურებების ხარისხთან დაკავშირებით.

ქვემოთ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს 2002/22 დირექტივიდან უნივერსალურ მომსახურებებზე, რომლებიც ყველაზე განვითარებულია ამ თვალსაზრისით:³³

დირექტივა შემდეგ მომსახურებებს უნივერსალურ მომსახურებებად წარმოგვიდგენს: ფიქსირებული სატელეფონო კავშირის მომსახურება (მუხლი 4), სატელეფონო სამსახურის მომსახურება და სატელეფონო ცნობარები (მუხლი 5), ტელეფონ-ავტომატები და სატელეფონო კავშირის პუნქტები (მუხლი 6). დანარჩენი ხვდება „სავალდებულო დამატებითი მომსახურების“ კატეგორიაში (მუხლი 32),³⁴ რომელთათვისაც არავითარი საკომპენსაციო მექანიზმი არ არსებობს, განსხვავებით იმ მომსახურებებისგან, რომლებიც უნივერსალური მომსახურებების სფეროში ხვდება. უნივერსალური მომსახურების რეჟიმის მიხედვით, დირექტივა აწესებს განსაზღვრულ მოვალეობებს, რომლებიც უკავშირდება: ხელმისაწვდომობას (მუხლი 3), სპეციალურ ზომებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მომხმარებლებისთვის (მუხლი 7), ტარიფების ხელმისაწვდომობას (მუხლი 9) ხარჯების კონტროლს (მუხლი 10) და მომსახურების ხარისხს (მუხლი 11).

თუმცა, უნივერსალური მომსახურებების მიღმა, ამ სექტორებთან დაკავშირებული დირექტივები და რეგულაციები განსაზღვრავს მომხმარებელთა და მომსახურების გამწევთა უფლება-მოვალეობებს. აქ კვლავაც შეგვიძლია 2002/22 დირექტივის მაგალითად მოყვანა:

IV თავში დეტალურად არის წარმოდგენილი ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებთან დაკავშირებით **საბოლოო მომხმარებლების უფლებები**, რაც არ **შემოიფარგლება მხოლოდ უნივერსალური მომსახურებებით**. ეს უფლებები მოიცავს: ისეთი ხელშეკრულების დადების უფლებას, რომელიც განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდებას გულისხმობს (მუხლი 20), გამჭვირვალობას (მუხლი 21), მომსახურების

³³ იხ. მიკლიცი, ევროპის მომხმარებელთა დაცვის კანონის მიმოხილვა, III. 8-ს საფუძველზე.

³⁴ ევროპულმა სასამართლომ უნივერსალური მომსახურებების ცნება განმარტა და მასში ის ფართოზოლოური ინტერნეტ-მომსახურებებიც შეიტანა, რომელსაც ფიქსირებული კავშირი სჭირდება. მობილური სატელეფონი მომსახურებები (და ინტერნეტი მობილური ტექნოლოგიებით) ჯერ არ არის უნივერსალური მომსახურებების ნაწილი (იხ. საქმე C-1/14, ECLI:EU:C:2015:378). ახალი წინადადება დირექტივის თაობაზე, რომელიც ამტკიცებს ევროპის ელექტრო კომუნიკაციების კოდექსს, არ განაგრძობს უნივერსალური მომსახურებების ცნებას, მაგრამ მოწყვლად ჯგუფებში მობილური სერვისებით მოსარგებლეთა გადახდისუნარიანობის ღონისძიებების უნივერსალური მომსახურებებით გაფართოებას სთავაზობს.

ხარისხს ტექნიკური სტანდარტების საფუძველზე (მუხლი 22), მომსახურების ხელმისაწვდომობას (მუხლი 23), სამომხმარებლო ციფრული სატელევიზიო აღჭურვილობის თავსებადობას (მუხლი 24), სატელეფონო ცნობარის მომსახურებას (მუხლი 25), გადაუდებელი დახმარების სამსახურებს და გადაუდებელი დახმარების ერთიან ევროპულ ნომერს (მუხლი 26), ევროპის სატელეფონო წვდომის კოდებს (მუხლი 27), შეთანხმებულ ნომრებს მომსახურების შეთანხმებისთვის მნიშვნელოვანი სოციალური მიზნებისთვის; ცხელი ხაზის ტელეფონს ბავშვების გაუჩინარების შემთხვევაში (მუხლი 27ა), წვდომას მომსახურებასა და ნომრებთან (მუხლი 28) და პროვაიდერის შეცვლას (მუხლი 30). რაც შეეხება სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, დირექტივას შემოაქვს მომხმარებლების უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე საჯარიმო სანქციების გარეშე, თუ მისთვის მიუღებელია ხელშეკრულების პირობების ცვლილებები (მუხლი 20(2)). დირექტივას ასევე შემოაქვს კომპენსაციის მიღების უფლება პროვაიდერის შეცვლის პროცესის დაყოვნების ან მომსახურების გაწევაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციების მიერ პროვაიდერის ცვლილების პროცესის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში (მუხლი 34). ეს უფლებები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები არ ზღუდავს ევროკავშირის მომხმარებელთა უფლებების დაცვის ისეთ წესებს, როგორცაა მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ დირექტივა და უსამართლო სახელშეკრულებო პირობების შესახებ დირექტივა.

მსგავსი წესები მოცემულია ევროკავშირის დირექტივებში 2007/92 და 2007/93 ენერგორესურსების შესახებ.³⁵

შეკითხვა:

სად არის გათვალისწინებული მომხმარებელთა/კლიენტთა უფლებათა დაცვის შესახებ ეს წესები საქართველოს კანონმდებლობაში? დარგობრივ კანონებში და/ან სოციალურ მომსახურებების მომწესრიგებელ კანონში?

მუხლი 4. საქართველოს კანონმდებლობა მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში

ქსაქართველოს კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ (2017 წლის თებერვლის მდგომარეობით)

მუხლი 4. საქართველოს კანონმდებლობა მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში

3. მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობა შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

4. მომხმარებლის უფლებების დაცვის თვალსაზრისით უპირატესობა ენიჭება იმ სპეციალურ კანონს, რომელიც მომხმარებლის უფლებების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს ითვალისწინებს.}

მე-2 პუნქტი აშკარად მიზნად ისახავს სსკ-სა და მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონს შორის დამოკიდებულებაში სიცხადის შეტანას. ყოველ შემთხვევაში, მე

³⁵ იხ. მიკლიცი, ევროპის მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონი, III ნაწილი, 10 და 11.

ასე მესმის ეს საკითხი. მე-2 პუნქტის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ მომხმარებელი უკეთ იქნას დაცული მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონით, ვიდრე ნებისმიერი სხვა წესებით.

რეკომენდაცია:

მე-2 პუნქტი ზედმეტია, რადგან ეს საკითხი უკვე (და უკეთესად) რეგულირდება სსკ-ს 2.2. მუხლით.

მუხლი 5. სახელმწიფო პოლიტიკა მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში

ქსართველოს კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ (2017 წლის თებერვლის მდგომარეობით)

მუხლი 5. სახელმწიფო პოლიტიკა მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში

სახელმწიფო უზრუნველყოფს:

- ა) საქონლისა და მომსახურების უსაფრთხოების ნორმების შესაბამისობას საერთაშორისოდ აღიარებულ მოთხოვნებთან;
- ბ) მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვას, მათ შორის შეცდომაში შემყვანი პრაქტიკისგან;
- გ) მომხმარებელთა ინფორმირებულობას და სამომხმარებლო განათლებას, მათ შორის მათი უფლებების დაცვის საშუალებებისა და პროცედურების თაობაზე;
- დ) მომხმარებელთა უფლებების ხელყოფის განხილვის სამართლიანი და ხელმისაწვდომი პროცედურების ფუნქციონირებას, მათ შორის სამომხმარებლო დავების მოგვარების ალტერნატიული საშუალებების განვითარებას;
- ე) მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული ჯგუფების საქმიანობის ხელშეწყობას.³⁶

მე-5 მუხლი 1962 წლის კენედის ცნობილი დეკლარაციის შესაბამისადაა გაწერილი. შესაბამისი ცვლილებებით დოკუმენტი მორგებულია ევროკავშირის ენას, რომელიც გამოყენებულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის პოლიტიკის 1976 და 1981 წლების პროგრამებში. მუხლი 5 დ) და გ) უფრო კარგად უნდა გამოხატავდეს სასამართლო დაცვის ასპექტს, რომელიც ამჟამად გარანტირებულია ევროპის ძირითად უფლებათა ქარტიის 47-ე მუხლით.³⁶ იმის მიხედვით, თუ რა იქნება კანონმდებლობის სამომავლო არეალი, შესაძლოა გაჩნდეს ძირითად საჭიროებათა დაკმაყოფილებისა და მომხმარებელთა განათლების უფლებების შემოღების საჭიროება.

50-წლიანი გამოცდილების გათვალისწინებით, ჩვენი შემოთავაზება იქნება შემდეგი ფორმულირება და მუხლების გადანომრვა. მუხლი 5 უნდა გახდეს მუხლი 2:

საქართველოს სახელმწიფო აღიარებს, რომ ყოველ ინდივიდს, მიუხედავად შემოსავლისა და სოციალური სტატუსისა, გააჩნია შემდეგი უფლებები:

(1) უსაფრთხოების უფლება, ანუ უფლება დაცული იყოს ისეთი საქონლისა და მომსახურებისაგან, რომელიც საფრთხის შემცველია სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან

³⁶ http://www.europarl.europa.eu/charter/pdf/text_en.pdf

ქონებისათვის, ან გარემოსთვის, ან რომლის გამოყენება ან ფლობაც აკრძალულია;

(2) ინფორმაციის მიღების უფლება, ანუ უფლება მიიღოს საჭირო და სწორი ინფორმაცია იმისთვის, რომ გააკეთოს შეგნებული არჩევანი შეთავაზებულ საქონელსა და მომსახურებებს შორის;

(3) არჩევანის უფლება, ანუ უფლება გააკეთოს არჩევანი რამდენიმე პროდუქტსა და მომსახურებას შორის, მისაღებ ფასად და ხარისხის გარანტიით;

(4) უფლება მოუსმინონ, ანუ იმის მოთხოვნის უფლება, რომ მოხდეს მისი ინტერესების გათვალისწინება და მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკის შესახებ საკანონმდებლო და აღმასრულებელი გადაწყვეტილებების მიღებისას, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის ორგანიზაციებისა და ასოციაციების საშუალებით, განხორციელდეს მათი წარმოდგენა;

(5) ზიანის ანაზღაურების უფლება, ანუ უფლება კანონით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, მოითხოვოს სახელმწიფო დაცვა მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ასევე იმ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც გამყიდველმა მიაყენა;

(6) ჯანსაღ და მდგრად გარემოში მოღვაწეობის უფლება, ანუ ისეთ გარემოში ცხოვრებისა და მუშაობის უფლება, რომელიც ზიანს არ აყენებს ამჟამინდელი და მომავალი თაობების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, ასევე იმ ინფორმაციაზე წვდომის უფლება, რომელიც საჭიროა არსებულ გარემოში ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის საწინააღმდეგო რისკის შეფასებისთვის.

რეკომენდაცია:

პოლიტიკის ამგვარი ამოცანები სიმბოლურად რჩება, თუ არ არსებობს უფლების ადრესატი. შეუძლია თუ არა მოხმარებელს ამ უფლებების დაცვის უზრუნველყოფა?

ევროკავშირში პოლიტიკის ამგვარ ამოცანებს სამართლებრივი წონა ევროპის ძირითად უფლებათა ქარტიაში მიენიჭა. ევროპული სასამართლო უფრო და უფრო ხშირად აკეთებს ქარტიაზე მითითებას, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არ იყოს ნათელი მითითებული „უფლებები“ რა ხარისხით წარმოადგენს ინდივიდუალურად განხორციელებად უფლებებს. ცხადია, ეს მნიშვნელოვანი განსხვავებებია იმ ხარისხით, რითაც ექვსი უფლება შეიძლება გარდაიქმნას ინდივიდუალურად განხორციელებად უფლებებად. თუმცა, ინფორმაციის მიღების უფლებასა და ზარალის სასამართლოს მეშვეობით ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლო საკმაოდ შორს წავიდა.

არსებობს თუ არა მზადყოფნა ქართულ სასამართლოებში იმისთვის, რასაც ევროპელი იურისტები კერძო სამართლის კონსტიტუციონალიზაციას უწოდებენ? კერძო სამართლის ინტერპრეტაციისას ფუნდამენტური უფლებებითა და ადამიანის უფლებებით სარგებლობისთვის? თუ მზად არიან, მაშინ ექვსი „უფლება“ მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონში შესაძლოა გადაიქცეს ხიდად ადამიანის უფლებებს, ფუნდამენტურ უფლებებს, კერძო და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალს შორის.

მუხლი 6. მომხმარებელთა ზოგადი უფლებები

საქართველოს კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ (2017 წლის თებერვლის მდგომარეობით)

მუხლი 6. მომხმარებელთა ზოგადი უფლებები

მომხმარებელს უფლება აქვს თავისუფლად აირჩიოს და მიიღოს საქონელი ან მომსახურება, მოითხოვოს მისი უფლებების დაცვის უზრუნველყოფა, ხოლო პრეტენზიის შემთხვევაში მოითხოვოს საკითხის გულსხმიერი, ეფექტიანი და სწრაფი განხილვა და შესაბამისი რეაგირება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ამ მუხლის მიზანი არ არის მთლად ნათელი. არჩევანის უფლება უნდა მოხვდეს მე-5 მუხლის მოქმედების სფეროში, სულ მცირე იმ შემთხვევაში, თუ შეთავაზება შესწორებული ვერსიის თაობაზე პოლიტიკურ მხარდაჭერას მოიპოვებს. იგივე ეხება ხელშეკრულების მონაწილე პარტნიორის წინააღმდეგ საჩივრის შეტანის და შესაბამის ვადებში პასუხის მიღების უფლებას. ამგვარად, შესწორებული მუხლი 5, პუნქტი 5 შესაძლოა შესაბამისად შეიცვალოს.

შეკითხვა:

მითითება ქართულ კანონმდებლობაზე არ არის ნათელი. რა ტიპის კანონმდებლობაა ეს და რას გულისხმობს იგი?

თუ იდეა ინფორმაციის მიღების უფლების შემოღებაა, იგი გათვალისწინებულია სსკ-ს 318-ე მუხლით (რომელიც შესაძლოა შესაცვლელი იყოს). თუ იდეა მომხმარებლისთვის იმის თქმაა, რომ მას აქვს უფლება ხელშეკრულების მონაწილე პარტნიორს უჩივლოს დარღვევებზე, ეს კონსტიტუციური უფლებაა და მისი აქ გამეორება საჭირო აღარ არის.

მუხლი 7. ზოგადი ვალდებულებები ინფორმაციასთან დაკავშირებით

საქართველოს კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ (2017 წლის თებერვლის მდგომარეობით)

მუხლი 7. ზოგადი ვალდებულებები ინფორმაციასთან დაკავშირებით

1. მომხმარებელს უფლება აქვს მიიღოს, ხოლო მოვაჭრე ვალდებულია გასცეს საქართველოს სახელმწიფო ენაზე, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - სხვა ენებზეც:

ა) საქონლის ან მომსახურების დასახელების, მწარმოებლის და არსებითი მახასიათებლების შესახებ უტყუარი და სრული ინფორმაცია, რაც მისცემს მომხმარებელს სწორი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას;

ბ) ინფორმაცია მოვაჭრის ვინაობის (საფირმო სახელწოდების) და საწარმოს ადგილმდებარეობის შესახებ, ასევე საკონტაქტო მონაცემები, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს შეეძლება მოვაჭრესთან სწრაფი და ეფექტური კომუნიკაციის დამყარება;

გ) ინფორმაცია მომხმარებელთა პრეტენზიის განხილვაზე უფლებამოსილი პირის რეკვიზიტებისა და წარდგენის ადგილის შესახებ, ასევე საქონლის შეცვლის, შეკეთების და ტექნიკური მომსახურების საწარმოო ერთეულის მისამართი, თუ აღნიშნული განსხვავდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში დასახელებული მისამართისაგან;

დ) ინფორმაცია საქონლის დამზადების ან/და მომსახურების შესრულების თარიღის და იმ საქონლის ვარგისიანობის ვადის შესახებ (საქონლის გამოყენების ბოლო თარიღი ან შენახვის ვადა), რომლის

სამომხმარებლო თვისებები უარესდება დროთა განმავლობაში (სურსათი, კოსმეტიკური, სამკურნალო, საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონელი და სხვა);

ვ) ინფორმაცია საქონლის ან/და მომსახურების სრული ფასის (მათ შორის ტრანსპორტირების, გადაგზავნის, მონტაჟის და ა.შ.), ან თუ წინასწარ მისი დადგენა შეუძლებელია - ფასის შემადგენელი კომპონენტების და მათი გაანგარიშების მეთოდის, აგრეთვე რეალიზების წესების შესახებ;

ვ) ინფორმაცია გადახდის, მიწოდებისა და ვალდებულების შესრულების პირობების, ასევე ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო, საჩივრით მიმართვის ფორმისა და შესაძლებლობების შესახებ;

ზ) ინფორმაცია საგარანტიო პირობების ან სხვა ვალდებულებების, მათ შორის, შემდგომი მომსახურებისა და საქონლის სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

თ) ინფორმაცია საქონლის მიზნობრივი და უსაფრთხო გამოყენების წესებისა და პირობების, ასევე შენახვის სპეციალური პირობების შესახებ;

ი) ინფორმაცია ხელშეკრულების ვადის, ასევე უვადო ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობებისა და ვადის ავტომატური გაგრძელების შესახებ;

კ) ინფორმაცია საქონლის ციფრული შინაარსის ფუნქციური მახასიათებლებისა და მისი დაცვის ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში; ასევე, ინფორმაცია ციფრული შინაარსის ტექნიკურ ან პროგრამულ უზრუნველყოფასთან თავსებადობის შესახებ;

ლ) ტექნიკური პასპორტი, მოხმარების, დამონტაჟების, ექსპლუატაციისა და მომსახურების სახელმძღვანელო (ინსტრუქცია), ასეთის არსებობის შემთხვევაში;

მ) საქონლის ან/და მომსახურების შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის დადებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

3. მოვაჭრე ვალდებულია თვალსაჩინო ადგილას ჰქონდეს განთავსებული ინფორმაცია საფირმო სახელწოდებისა და მუშაობის რეჟიმის შესახებ;

4. მცდარი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდებისთვის მოვაჭრე პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

5. საქონლის საცალო შეფუთვაზე, თვალსაჩინო ადგილას, მსხვილი, მკაფიო, კონტრასტული, ადვილად აღქმადი შრიფტით უნდა გაკეთდეს წარწერა მისი ისეთი თვისებების შესახებ, რომელიც პირდაპირ უკავშირდება საქონლის უსაფრთხოებას და მომხმარებლის მიერ ამ საქონელთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას. თუ ასეთი ინფორმაციის დატანა უშუალოდ ერთეულ შეფუთვაზე შეუძლებელია, მაშინ ასეთი ინფორმაცია მას თან უნდა ახლდეს.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტში გათვალისწინებული ინფორმაცია აისახება საქონლის თანდართულ ტექნიკურ დოკუმენტაციაში, ეტიკეტზე მარკირებით, გამოშვების ვადის ჩვენებით, ან ცალკეული სახეობის და მომსახურების სფეროებისათვის მიღებული სხვა ხერხით. ამასთან, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „ე“, „ზ“, „თ“, „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ქართულ ენაზე და განთავსდეს ისე, რომ არ დაიფაროს ინფორმაცია ორიგინალ ენაზე, რაც არ ზღუდავს მის სხვა ენაზეც მიწოდების შესაძლებლობას იმ დათქმით, რომ ქართულ ენაზე შესრულებული წარწერა ზომით უცხო ენაზე შესრულებულ წარწერაზე მცირე არ უნდა იყოს.}

მუხლი 7 პროფესორ კ. მელერ-ჰანიხის წინადადების მიხედვითაა შედგენილი, რომლის რეკომენდაციაც ერთიანი ჩამონათვალის წარმოდგენა იყო, სადაც ყველა საჭირო ევროპული სტანდარტის გათვალისწინება მოხდებოდა „კონტრაქტის შინაარსსა და მისი შეუსრულებლობის შედეგებთან მიმართებაში“, გარდა დისტანციური და საკუთარი სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულებებისა. პროფესორი მელერ-ჰანიხი მითითებას აკეთებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ 2011/83 დირექტივის მე-5 მუხლზე, ელექტრონული ვაჭრობის შესახებ 2000/31 დირექტივის მე-5 მუხლზე, უძრავი ქონებით არაერთჯერადად სარგებლობის (ტაიმშერის) ხელშეკრულებების შესახებ 2008/122

დირექტივის მე-4 და მე-5 მუხლებზე.³⁷ სიას შეიძლება მარტივად დაემატოს 2008/48 დირექტივა სამომხმარებლო კრედიტზე, დირექტივა 2014/17 მომხმარებლებისთვის საცხოვრებელ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკრედიტო ხელშეკრულებების შესახებ, დირექტივა 2015/2302 ტურისტულ პაკეტებზე. ეს გამოწვევაა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტების ერთიანი კომპლექსი არსებობს, არის ასევე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული თავისებურებებიც.

ვინ არის ვალდებულების ადრესატი? თუ ეს ხელშეკრულების მონაწილე პარტნიორია, გამყიდველი ან მომსახურების გამწევი, ინფორმაციასთან დაკავშირებული მოვალეობები უნდა გაიწეროს იმის მიხედვით, თუ რა შეუძლია გამყიდველს/მომსახურების გამწევს და რისი უფლებამოსილება აქვს მას. მე-7 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტები მიაჩნებენ, რომ ეს გამყიდველი ან მომსახურების გამწევა, რადგან მე-2 პუნქტი ინფორმაციას ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად მოიხსენიებს, ხოლო მე-4 პუნქტი კი ითვალისწინებს სამართლებრივი დაცვის საშუალებებს პირობების დარღვევის შემთხვევაში.

წინადადება:

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებები უნდა შემოიფარგლოს ხელშეკრულების მონაწილე პარტნიორით და ამოღებული იქნას ყველა იმ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, რომელიც ფასის მითითების ან ეტიკეტირების შესახებ რეგულაციებში უნდა იყოს გათვალისწინებული.

მე-7 მუხლი ექვს ქვეპუნქტად არის დაყოფილი: 1) განსაზღვრავს იმ ძირითად ინფორმაციას, რომელიც მიწოდებული უნდა იქნას მომხმარებლისთვის ქართულ ენაზე; 2) ნათლად მიუთითებს, რომ ეს ინფორმაცია ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად უნდა იქნას მიჩნეული; 3) ეხება გამყიდველის მიერ განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდების მოვალეობებს ეტიკეტზე; 4) აცხადებს, რომ გამყიდველს პასუხისმგებლობა დაეკისრება მცდარი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდებისთვის; 5) შეეხება საქონლის უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის განთავსებას იარლიყზე და 6) განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა იქნას მომხმარებლისთვის ინფორმაცია მიწოდებული.

ქვეპუნქტებში არსებობს რამდენიმე სირთულე, რომლებიც გვსურს, რომ განვიხილოთ:

- 1 ა) ყურადღების გამახვილება ხდება მწარმოებელზე, 1 ბ) ეხება გამყიდველს და მწარმოებელს. ეს თარგმანის შეცდომა ხომ არ არის? ვალდებულების ადრესატი გამყიდველია. მომხმარებელს არ აქვს ხელშეკრულება მწარმოებელთან. საიდან შეიძლება იცოდეს გამყიდველმა, ვინ არის მწარმოებელი? შესაძლოა, ეს ყოველთვის არ იყოს შესაძლებელი.
- 1 გ) ნაწილობრივ ემთხვევა მე-6 მუხლს გასაჩივრების პროცედურასთან მიმართებაში, მაგრამ უფრო სპეციფიკურია, რადგან ის ავალდებულებს გამყიდველს, რომ გაამყავნოს

³⁷ კ. მელერ-ჰანიხი, ციტირებული ნაშრომის 2 ბ) ბბ) გვ. 14, სანიმუშო კატალოგი ამ ინფორმაციის მოთხოვნებისთვის'.

მესამე მხარესთან დაკავშირებული ინფორმაცია ან უბრალოდ დაასახელოს განსხვავებული ადგილმდებარეობა, სადაც სამომხმარებლო საქონლის გაყიდვის საგარანტიო უფლებებით სარგებლობა ხდება. ის, რაც არ არის გათვალისწინებული ახლად შემოღებული ვალდებულებათა, რომელიც 2013/11 დირექტივაშია და რომელიც გამყიდველსა და მომსახურების გამწევს აკისრებს ვალდებულებას, მიაწოდოს მომხმარებელს დავების ალტერნატიული წესით გადაწყვეტის შესახებ ხელმისაწვდომი მექანიზმების შესახებ ინფორმაცია.³⁸

- 1 დ) ეხება განსაზღვრული ინფორმაციის შესახებ მოთხოვნებს საშიშ პროდუქტებზე. ევროკავშირის მრავალი წესი აქვს, რომელიც ითვალისწინებს ინფორმაციის მიწოდებას საკვებზე, კოსმეტიკურ საშუალებებზე, საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონელზე. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მსგავსი ქართული კანონმდებლობაც იარსებებს.

- 1 ე) ეხება ფასს. ეს უფრო ვალდებულებას გავს, რომელიც სახელმწიფომ უნდა შეასრულოს, თუ ეს გამყიდველს/მიმწოდებელს ეხება? ალბათ კარგი იქნება, ეს დაზუსტდეს. ეს დირექტივა 98/6-ის (ფასთა მითითების შესახებ) ტრანსფორმირებას ისახავს მიზნად? იხ. აგრეთვე მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონპროექტის მუხლი 14.³⁹

- 1 ზ) მისი შინაარსიდან ისე ჩანს, თითქოს იგი 99/44 დირექტივის მე-6 მუხლის (სამომხმარებლო გარანტიები) იმპლემენტაციას ისახავს მიზნად. თუ ეს ასეა, მაშინ მისაწოდებელი ინფორმაცია გაცილებით უფრო დეტალური უნდა იყოს.

- 1 ი) ჩანს, რომ ეხება სტანდარტული ხელშეკრულების პირობებს, რომლებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებაზე ინფორმაციასთან ერთად (ცხადია, რომ ეს იგულისხმება „ხელშეკრულებაზე უარის თქმაში“. ბოლო ნაწილი „ვადის ავტომატური გაგრძელების“ შესახებ გაუგებარია. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრული ვადით დაიდო, ავტომატურად გაგრძელდება? თუ ეს ასეა, მაშინ ამგვარი ვადის სტანდარტული ფორმით წარმოდგენის შემთხვევაში, იგი ექვემდებარება სამართლიანობის ტესტით შემოწმებას მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონპროექტის მე-12 მუხლის მიხედვით. ვადის ავტომატური გაგრძელების შემთხვევები განხილულია სსკ-ს 559/560 მუხლებში. თავი სტანდარტული პირობების შესახებ (სსკ, მუხლი 342) შეიცავს უფრო დეტალურ სისწორისა და სამართლიანობის ტესტს (იხ. აგრეთვე III. 12).

- 1 მ) გაუგებარია, რას გულისხმობს.

- პუნქტი (4) ეხება ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული ვალდებულებების უმნიშვნელოვანეს ასპექტს. რა უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მონაწილე პარტნიორი არ ახდენს სავალდებულო ინფორმაციის მიწოდებას? ქართულ კანონმდებლობაზე მითითება არ მიანიშნებს, თუ რა შეიძლება იყოს სამართლებრივი დაცვის საშუალებები.

- მუხლი (5) და (6) ეხება მარკირების მოთხოვნებს, რომლებიც გათვალისწინებულია მრავალ ევროპულ კანონში საკვებთან, კოსმეტიკურ საშუალებებთან და ა.შ. დაკავშირებით. ხელშეკრულების მონაწილე პარტნიორმა უნდა შეასრულოს ეს წესები და

³⁸ იხ. ქვემოთ 15-22 მუხლებში.

³⁹ რომელიც ცალკეა ქვემოთ გაანალიზებული.

მარკირების დიზაინიც შესაბამისად შეასრულოს. თუმცა, არ არის საჭირო ამ ვალდებულებების გამეორება იმ მუხლში, რომელიც მომხმარებლის კონტრაქტორ პარტნიორს ეხება.

შემდგომი ნაბიჯი უნდა იყოს იმის ნათლად განსაზღვრა, რომ ადრესატი გამყიდველი/მომსახურების გამწვავია და რომ ხელშეკრულების დადებამდე შესაბამისი ინფორმაცია მომხმარებელს უნდა მიეწოდოს. ნიმუშისთვის წარმოგიდგინებ მოდელური კანონის მე-17-19 მუხლებს, რომლებიც ხელშეკრულების დადებამდე ინფორმაციას ეხება, ვცდილობთ რა იმის გაკეთებას, რაც პროფესორმა მელერ-ჰანიხმა შემოგვთავაზა. მე-18 მუხლი არის მცდელობა სამართლებრივი დაცვის საშუალების შემუშავებისა, რომელიც ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევისას იქნება გამოყენებული (იმის გამართულად ჩამოყალიბება, რაც მე-7 მუხლის მე-4 პუნქტშია აღნიშნული). ამგვარი დაცვის ვალდებულება არ არის გათვალისწინებული ევროპის მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონმდებლობით. თუმცა, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებები გამოუსადეგარი იქნება, თუ არ იარსებებს სანქცია. მუხლი 19 განსაზღვრავს გადახდის მოთხოვნებს.

მუხლი 17. ინფორმირების წინასახელშეკრულებო მოვალეობა

1. ყიდვა-გაყიდვის ან მომსახურების ნებისმიერი ხელშეკრულების დადებამდე, მოვაჭრე მომხმარებელს წარუდგენს შემდეგ ინფორმაციას, თუ ეს ისედაც ცხადი არ არის კონტექსტიდან:

(1) საქონლისა და მომსახურების ძირითადი მახასიათებლები;

(2) მოვაჭრის გეოგრაფიული მისამართი და მისი ვინაობა, როგორცაა სავაჭრო სახელი და, სადაც შესაძლებელია, გეოგრაფიული მისამართი და იმ მოვაჭრის ვინაობა, რომლის სახელითაც ის მოქმედებს;

(3) ფასი გადასახადების ჩათვლით; ან სადაც პროდუქტის ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ფასის წინასწარ გაანგარიშება, წარმოდგენილი უნდა იყოს ის წესი, რომლის მიხედვითაც მოხდება მისი გაანგარიშება. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მითითებული უნდა იყოს დამატებითი გადაზიდვის, მიწოდების ან საფოსტო ყველა ხარჯი, ხოლო იქ, სადაც ამგვარი ხარჯების წინასწარი გათვლა შეუძლებელია, მითითებული უნდა იყოს, რომ გადასახდელი იქნება დამატებითი ხარჯები;

(4) შეთანხმება ანგარიშსწორების, მიწოდების, მომსახურების განხორციელების და საჩივრების განხილვის პოლიტიკის შესახებ;

(5) ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების არსებობა, ან ამგვარი უფლების არარსებობა;

(6) ინფორმაცია გაყიდვის შემდეგ მომსახურების არსებობის და საჭიროების შემთხვევაში, კომერციული საგარანტიო პირობების შესახებ;

(7) საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულების ხანგრძლივობა; ან, თუ ხელშეკრულება უვადოა, მისი შეწყვეტის პირობები;

(8) საჭიროების შემთხვევაში, მომხმარებლის ვალდებულებათა მინიმალური ხანგრძლივობა ხელშეკრულების მიხედვით;

(9) ინფორმაცია მოვაჭრის თხოვნის შესაბამისად, მომხმარებლის მიერ ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური გარანტიების გადახდის ან უზრუნველყოფის და ამ პროცედურასთან

დაკავშირებული პირობების შესახებ.

2. საჯარო აუქციონის შემთხვევაში, პუნქტ 1 (ბ)-ში გათვალისწინებული ინფორმაცია შეიძლება ჩანაცვლდეს აუქციონის მომწყობის გეოგრაფიული მისამართით და ვინაობის მითითებით.
3. ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაცია ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი გახდება.
4. მოვაჭრე კეთილსინდისიერად შეასრულებს პირველი პუნქტით ნაკისრ ვალდებულებას, რაც ნათელი და გასაგები ენით იქნება ჩამოყალიბებული.
5. ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთი, რომელიც პირველი პუნქტითაა გათვალისწინებული, მოვაჭრეს დაეკისრება.
6. ზემოხსენებული ინფორმაციის უზრუნველყოფის კომერციული მიზანი მომხმარებელს არაორაზროვნად მიეწოდება.

მუხლი 18. ინფორმაციის შეუტყობინებლობა

1. თუ მოვაჭრის მხრიდან ადგილი აქვს მე-17 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობას, რამაც მომხმარებელი სამომხმარებლო ხელშეკრულების დადებაზე წააქეზა, ამგვარი ხელშეკრულება გაუქმებას დაექვემდებარება. მომხმარებელს შეუძლია უარი თქვას სამომხმარებლო ხელშეკრულებაზე ამ საფუძვლებით, მიუხედავად იმისა, მოვაჭრის მიერ მე-7 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისას, არსებობდა თუ არა მისი მხრიდან კლიენტის ხელშეკრულების დადებაზე წააქეზების განზრახვა. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება წყდება მისი დადებიდან ერთი წლის შემდეგ.
2. თუ მოვაჭრე არ შეატყობინებს მომხმარებელს გადაზიდვის, მიწოდების ან საფოსტო ხარჯების შესახებ, ან სადაც ამგვარი ხარჯების წინასწარი კალკულაცია შეუძლებელია, იმ ფაქტის შესახებ, რომ შესაძლოა გადასახდელი იყოს ამგვარი დამატებითი ხარჯები, მომხმარებელი არ იქნება ვალდებული ეს დამატებითი ხარჯები გადაიხადოს.

მუხლი 19. გადახდა ბანკების მეშვეობით

1. თუ მოვაჭრე მომხმარებელს შეატყობინებს, რომ მან გადახდა ბანკის ან ფოსტის საშუალებით უნდა განახორციელოს, გადახდა განხორციელებულად ჩაითვლება იმ დღიდან, როცა ბანკი ან ფოსტა მიიღებს შესაბამის საგადასახადო დავალებას.

მუხლი 8. ინფორმაციასთან დაკავშირებული ვალდებულებები დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში

სსკართველოს კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ (2017 წლის თებერვლის მდგომარეობით)

მუხლი 8. ინფორმაციასთან დაკავშირებული ვალდებულებები დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში

1. ხელშეკრულება ითვლება ქუჩაში დადებულად თუ ის იდება მოვაჭრის სარეწის (სამეწარმეო საქმიანობის ადგილი) ფარგლებს გარეთ და მოითხოვს მოვაჭრისა და მომხმარებლის ფიზიკურ თანყოფას, ასევე, რომელიც იდება მოვაჭრის სარეწის ფარგლებში ან დისტანციურად, მაგრამ დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც

მომხმარებელმა აღნიშნულის თაობაზე პირადად და ინდივიდუალურად შეთავაზება მიიღო მოვაჭრის სარეჩის ფარგლებს გარეთ.

2. დისტანციური ხელშეკრულება იდება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით და არ მოითხოვს მოვაჭრისა და მომხმარებლის ფიზიკურ თანყოფას.

3. დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, მოვაჭრე ვალდებულია ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის პარალელურად, გასაგები ფორმით (მომხმარებლის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში - წერილობით) მიაწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია:

ა) ხელშეკრულების დადების დროს გამოყენებული დისტანციური კომუნიკაციის ხარჯების შესახებ, თუ იგი არ შედის ძირითად ფასში;

ბ) მომხმარებელს საჩივრით მიმართვის უფლების შეზღუდვის ან დაკარგვის პირობების შესახებ, ასევე საჩივრის საფუძვლების არსებობისას, გასაჩივრების პირობებისა და მასთან დაკავშირებული წარმოების შესახებ, მათ შორის, დავის ალტერნატიული საშუალებებით გადაწყვეტის შესაძლებლობის შესახებ;

გ) მინიმალურ ვადის შესახებ, რომლის განმავლობაშიც მოვაჭრე კისრულობს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ) ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში საქონლის უკან დაბრუნებისთვის საჭირო ხარჯების ერთ-ერთი მხარის მიერ დაფარვის შესახებ;

ე) მოვაჭრის მხრიდან ფინანსური გარანტიის მოთხოვნის უფლებისა და ამ მოთხოვნის წინაპირობების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. მოვაჭრე ვალდებულია მიაწოდოს მომხმარებელს ხელშეკრულების ასლი, მისი წერილობითი ფორმით არსებობის შემთხვევაში, ან ხელშეკრულების დადების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი. ამ მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მომხმარებელს უნდა მიეწოდოს არაუგვიანეს საქონლის მიწოდებამდე ან მომსახურების დაწყებამდე, მარტივად გასაგებ ენაზე, ბეჭდური ფორმით. მომხმარებლის თანხმობის შემთხვევაში, ასევე, დისტანციური ხელშეკრულებისას, შესაძლებელია სხვა საშუალების გამოყენებაც. თუ ხელშეკრულებით მომხმარებელს ეკისრება ფასის გადახდა, ამ შემთხვევაში მოვაჭრე ვალდებულია ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ე“, „ი“ ქვეპუნქტებითა და ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მომხმარებელს მიაწოდოს მის მიერ ხელშეკრულების დადების ნების გამოვლენამდე.

5. მოვაჭრე ვალდებულია გონივრულ ვადაში დაუდასტუროს მომხმარებელს დისტანციური ხელშეკრულების დადება და არაუგვიანეს საქონლის მიწოდებამდე ან მომსახურების დაწყებამდე მიაწოდოს მას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

6. სატელეფონო კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით ხელშეკრულება დადებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა მომხმარებლის ხელმოწერა ან წერილობითი თანხმობა. მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის სატელეფონო კომუნიკაციის დაწყებისთანავე მოვაჭრემ მომხმარებელს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საუბრის კომერციული მიზნისა და საკუთარი და იმ პირის ვინაობის შესახებ, ვისი სახელითაც იგი მოქმედებს.

7. ვებგვერდის მეშვეობით ელექტრონული ვაჭრობის შემთხვევაში, არაუგვიანეს შეკვეთის პროცესის დაწყებისა, მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული სირთულეებისა და მოქმედი გადახდის საშუალებების შესახებ.}

სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს სსკ-ს 336-ე მუხლში მეორე პუნქტის შემოღებას, რაც მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონის მიღებასთან ერთად მოიაზრება:

მომხმარებელი უფლებამოსილია, შესაბამისი საფუძვლის არსებობის მიუხედავად, უარი თქვას ქუჩაში დადებულ მომსახურების ხელშეკრულებაზე მისი დადებიდან ორი კვირის განმავლობაში, ხოლო საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულებაზე - საქონლის ძვლობელობაში სრულად მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში.

ეს შემოთავაზება განმეორებულია სსკ-ს მე-8 მუხლში, თუმცა მე-8 მუხლი გაცილებით უფრო დეტალურია, ვიდრე სსკ-ს შემოთავაზებული ცვლილება. მე-8 მუხლი საკმაოდ კომპლექსურ და ამბიციურ წესს წარმოგვიდგენს. იგი მიზნად ისახავს ერთ მუხლში გააერთიანოს ევროკავშირის ვრცელი დირექტივა 2011/83 დისტანციურ და პირდაპირ გაყიდვაზე, ისევე როგორც დირექტივა 2000/31 ელექტრონული ვაჭრობის შესახებ. ჯერ-ჯერობით სსკ-ს 336-ე მუხლი შეიცავს შემდეგ დებულებას ისეთ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებაზე, რომელიც დადებულია საწარმოს შენობის გარეთ, შვიდი დღის ვადაში: *მომხმარებელსა და საკუთარი სარეწის ფარგლებში მოვაჭრე პირს შორის ქუჩაში, სახლის წინ და მსგავს ადგილებში დადებული ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ მომხმარებელი ერთი კვირის ვადაში ხელშეკრულებას წერილობით არ უარყოფს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულების შესრულება ხდება მისი დადებისთანავე.*

მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონის მე-8 მუხლს შვიდი პუნქტი აქვს: 1) განსაზღვრავს ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებებს, 2) დისტანციურ ხელშეკრულებებს, 3) ა-ე) სპეციფიკურ ინფორმაციას, რომელიც მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონის მე-7 მუხლის ზოგადი მოთხოვნებისგან განსხვავდება, 4) განსხვავებს ინფორმაციას, რომელიც მომხმარებელს ხელშეკრულების დადებამდე (ე.წ. “ლილაკის გადაწყვეტა”)⁴⁰ და მისი დადების შემდეგ უნდა მიეწოდოს, 5) გამყიდველისგან ითხოვს მომხმარებლისთვის დისტანციური ხელშეკრულების დადების დადასტურებას (მუხლი 11, პუნქტები 1-3 დირექტივა ელექტრონული ვაჭრობის შესახებ), 6) სატელეფონო კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების შესახებ წერილობით თანხმობას, 7) ეხება ინფორმაციას საქონლის მიუწოდებლობის ან მისი დაყოვნებული მიწოდების შესახებ (მუხლი 8, პუნქტი 3, დირექტივა 2011/83).

ბევრია განსხვავება ევროკავშირის ორი დირექტივის (2011/83 და 2000/31) დეტალურ მოთხოვნებსა და მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონის მე-8 მუხლს შორის. მე-8 მუხლი ისე გამოიყურება, თითქოს კანონპროექტში შერჩევით არის აღებული დირექტივიდან მხოლოდ ის ელემენტები, რომლებიც რელევანტურია. ეს მე-8 მუხლის დისკრედიტირების მიზნით არ არის ნათქვამი. ეს ჭკვიანური და მოხერხებული გზაა, რომელიც ევროკავშირის წესების კომპლექსურობის გამარტივებასა და მისი ძირითადი არსის გამოვლენას ისახავს მიზნად. თუმცა, მე-8 მუხლი ამჟამინდელი ფორმით არ აკმაყოფილებს ევროპული კანონმდებლობის მოთხოვნებს. 2011/83 დირექტივა ითვალისწინებს სრულ ჰარმონიზაციას და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს მოქმედების დიდ თავისუფლებას არ უტოვებს. დირექტივა სიფრთხილით მიჯნავს იმ მახასიათებლებს, რომლებიც ორივე ტიპის ბიზნესს გააჩნია და მათ, სადაც დამატებითი მოთხოვნები ყალიბდება თითოეულთან მიმართებაში ინფორმაციის ტიპის, ფორმის და მომხმარებლისთვის მისი მიწოდების დროის თვალსაზრისით. იმის გათვალისწინებით, თუ რა საჭიროებაა, შემდეგმა კომენტარებმა შესაძლოა ხაზი გაუსვას რამდენიმე ხარვეზს:

⁴⁰ კ. მელერ-ჰანიხი, ციტირებული ნაშრომის 2. ა) აა) გვ. 10, დირექტივა 2011/83, მუხლი 8.

- 1) ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების განმარტების მეორე ნაწილი რთული გასაგებია. კონტექსტიდან ნათელი ხდება, თუ რა იგულისხმება. იხ. მუხლი 2 (8) დირექტივა 2011/83.
 - 2) განსაზღვრავს დისტანციურ ხელშეკრულებებს, მაგრამ იგი არ არის 2011/83 დირექტივის მე-2 (7) მუხლთან შესაბამისობაში.
 - 3) აერთიანებს ორ განსხვავებულ გარემოებებთან დაკავშირებულ საინფორმაციო მოთხოვნებს. თუმცა, დირექტივა მიჯნავს საერთო ინფორმაციას (მუხლი 6) გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში სპეციფიკური ინფორმაციისგან (მუხლები 7 და 8, 2011/83 დირექტივა).
 - მუხლი 8 არ განიხილავს ხელშეკრულებიდან გასვლასთან დაკავშირებული უფლების საინფორმაციო მოთხოვნებს. ეს მე-9 მუხლშია გაკეთებული.
 - 4) რთულია გასაგებად. თუმცა, მისი მიზანია გაიმიჯნოს ხელშეკრულების დადებამდე და მისი დადების შემდეგ ინფორმაცია, მაგრამ იგი არ ეხება ორი ტიპის ხელშეკრულების მიმართ არსებულ განსხვავებულ მოთხოვნებს (რაც დაცულია) 2011/83 დირექტივის მე-6-მე-8 მუხლებში).
 - 5) გათვალისწინებულია 2000/31 დირექტივის მე-11 მუხლის 1-3 პუნქტები პროფესორ მელერ-ჰანიხის წინადადების შესაბამისად⁴¹. თუმცა, მე-5 პუნქტი შესაფერის დონეზე არ აფასებს ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნის სირთულეს.
 - 6) სარგებლობს 2011/83 დირექტივის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვარიანტით, რომელიც ითხოვს წერილობით დასტურს სატელეფონო კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების შესახებ. ეს ვარიანტი შემოღებული იქნა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ მომსახურების ზოგიერთი მიმწოდებელი იყენებდა სატელეფონო ზარებს, რათა ხელშეკრულების პირობები მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ შეეცვალა.
 - 7) გადატანილია 2011/83 დირექტივის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი, მაგრამ იგი არ განიხილავს გაცილებით უფრო მნიშვნელოვან შედეგებს, რაც საქონლის მიწოდებლობის ან მისი მიწოდების დაყოვნებით დგება. მუხლი 18, დირექტივა 2011/83.
- წინადადება და რეკომენდაციები ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ უფლების განსაზღვრაზე:
- თავიდან უნდა იქნას აცილებული ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ უფლების დუბლირება. წესების არსებობა როგორც სსკ-ში, ასევე მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონში დაბნეულობას იწვევს.
 - ჩვენი პოზიციის შესაბამისად, სსკ-სა და მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონს შორის ურთიერთობასთან მიმართებაში, ჩვენი მტკიცე აზრია, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება მხოლოდ სსკ-თი უნდა იყოს გათვალისწინებული.

დეტალური წინადადება:

მე-8 მუხლის ნებისმიერი ცვლილება შეიძლება დაეფუძნოს იმ შვიდ პარამეტრს, რომელიც ევროპული წესებიდან გამომდინარეობს. შეიძლება ვინმემ იფიქროს, შესაძლებელია თუ არა ამ შვიდი პარამეტრის ერთ მუხლში გაერთიანება, ან საჭიროა თუ

⁴¹ კ. მელერ-ჰანიხი, ციტირებული ნაშრომის 2. ა) აა).

არა შვიდი დამოუკიდებელი მუხლის არსებობა. მოდელური კანონის 30-37 მუხლები კვლავაც გარკვეულ მიმართულებას მოგვცემს. ეს იყო კომპლექსური წესების შესაფერის დონეზე შეფასების მცდელობა და სხვადასხვა მუხლის თანმიმდევრული ფორმით დაყოფა. უნდა ვაღიაროთ, რომ მოდელური კანონის მუხლები კვლავაც რთულად გამოიყურება. ეს კი ევროკავშირის მომხმარებელთა უფლებების დაცვის არსებული კანონმდებლობის შედეგია.

- დისტანციური და ოფისის (სარეწის) გარეთ დადებული ხელშეკრულებების განმარტება. მოდელური კანონის მე-5 მუხლმა დირექტივაში მოცემული განმარტებები საერთო განმარტებათა კატალოგში წარმოგვიდგინა.
- ინფორმაციის მოთხოვნები დისტანციური და ოფისის (სარეწის) გარეთ დადებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში, მოდელური კანონის მუხლი 31.
- სპეციალური ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებები და მუდმივად ხელმისაწვდომი მონაცემები ელექტრონულ ვაჭრობასთან დაკავშირებით, მოდელური კანონის 32-ე და 33-ე მუხლები.
- ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ ინფორმაცია, მოდელური კანონის 34-ე მუხლი.
- ოფისის (სარეწის) გარეთ დადებული ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ფორმალური მოთხოვნები, მოდელური კანონის 35-ე მუხლი.
- დისტანციურ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ფორმალური მოთხოვნები, მოდელური კანონის 36-ე მუხლი.
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულება და მიწოდება, მოდელური კანონის 37-ე მუხლი.

რა არ არის წარმოდგენილი:

- ინფორმაციის მიწოდებისა და ხანგრძლივად შენახვის საშუალებების შესახებ მითითება და მისი განმარტება, მუხლი 2 (10) დირექტივა 2011/83.
- დირექტივა 2002/65 ფინანსური მომსახურებების დისტანციურ გაყიდვაზე არ არის მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონის მე-8 მუხლში ინტეგრირებული.

მუხლი 9. მომხმარებლის უფლება ხელშეკრულების შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღების დროს

ქსავრთველის კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ (2017 წლის თებერვლის მდგომარეობით)

მუხლი 9. მომხმარებლის უფლება ხელშეკრულების შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღების დროს

1. მომხმარებელს უფლება აქვს, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე უარი თქვას ხელშეკრულებაზე მომხმარებლის მიერ საქონლის მფლობელობაში მიღებიდან, ხოლო მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში - ხელშეკრულების დადებიდან 7 დღის განმავლობაში. [ეს ვადა დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში შეადგენს 14 დღეს.] საქონლის მფლობელობაში მიღების ვადა აითვლება:

ა) ბოლო ნივთის მფლობელობაში მიღების დღიდან, თუ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ერთზე მეტი ნივთი და მათი მიწოდება ხორციელდება ცალ-ცალკე

ბ) საქონლის ბოლო ნაწილის მფლობელობაში მიღების დღიდან, თუ საქონლის მიწოდება ხორციელდება ნაწილ-ნაწილ.

2. მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენებით წყდება მხარეთა შორის არსებული ვალდებულებები, ამასთან:

ა) მოვაჭრე ვალდებულია სრულად დაუბრუნოს მომხმარებელს გადახდილი თანხა, გარდა მიწოდების ხარჯებისა, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 დღის განმავლობაში;

ბ) ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში მოვაჭრეს უფლება აქვს, უარი თქვას თანხის უკან დაბრუნებაზე მანამ, ვიდრე არ დაიბრუნებს საქონელს;

გ) მომხმარებელი ვალდებულია ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ, დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს მოვაჭრისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნიდან 14 დღის ვადაში, დაუბრუნოს მოვაჭრეს ან მოვაჭრის მიერ საამისოდ განსაზღვრულ მესამე პირს მიღებული საქონელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოვაჭრემ გამოხატა საქონლის საკუთარი ძალებით უკან წაღების ნება.

3. მომხმარებელს არ აქვს უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სრულად იქნა გაწეული ისე, რომ მოვაჭრემ მომსახურების გაწევა დაიწყო მომხმარებლის წინასწარი თანხმობით, იმის გათვალისწინებით, რომ მომსახურების სრულად მიღების შემდეგ იგი დაკარგავდა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას;

ბ) მომხმარებლისათვის მიწოდებული საქონელი დამზადებულია მისი ინდივიდუალური შეკვეთით ან აშკარად მორგებულია მის პირად საჭიროებებს;

გ) მომხმარებლისათვის მიწოდებული საქონელი მალფუჭებადია, გააჩნია მოკლე ვარგისიანობის ვადა ან რომლისთვისაც დადგენილია შენახვის სპეციალური წესი;

დ) მომხმარებლისათვის მიწოდებულია ჰერმეტიკულად დაცული საქონელი, რომელიც ჯანმრთელობის ან ჰიგიენური ნორმების დაცვის თვალსაზრისით, არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას და მისი ჰერმეტიკულობა დარღვეულია დაბრუნების მომენტში;

ე) მომხმარებლისათვის მიწოდებულია საქონელი, რომელიც მიწოდების დროს, მისი მახასიათებლებიდან გამომდინარე, განუყოფლად შეერწყა სხვა საქონელს;

ვ) მომხმარებლისათვის მიწოდებულია ჟურნალ-გაზეთები ან სხვა სახის პუბლიკაციები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიწოდება ხორციელდება სააბონენტო ხელშეკრულების საფუძველზე;

ზ) ხელშეკრულება დადებულია საჯარო აუქციონის შედეგად;

თ) მომხმარებელს მიეწოდა ციფრული შინაარსის მქონე საქონელი ინფორმაციის არასხეულებრივ მატარებელზე, თუ აღნიშნული განხორციელდა მომხმარებლის წინასწარი თანხმობით, იმის გათვალისწინებით, რომ იგი დაკარგავდა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას;

კ) საქონელს დაკარგული აქვს სასაქონლო სახე, არა აქვს პლომბი ან საწარმოო იარაღი (ეტიკეტი), არ ახლავს საკასო ჩეკი (ან შეძენის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი), რომელიც გაყიდულ საქონელთან ერთად გადაეცა მომხმარებელს.

ლ) გაწეული მომსახურების ან საქონლის ღირებულება არ აღემატება 25 ლარს.}

მე-9 მუხლის სათაურს შეცდომაში შევყავართ. შესაძლოა ეს თარგმანის პრობლემაა. იგი არეგულირებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, პერიოდს, მის გამოყენებას, შედეგებსა და გამონაკლისებს, ოღონდ ეს მხოლოდ დისტანციურ და პირდაპირ გაყიდვას ეხება და არა განსაზღვრული ტიპის ხელშეკრულებებს, სადაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება (მაგ. როგორცაა სამომხმარებლო კრედიტი და უძრავი ქონებით არაერთჯერადად სარგებლობის (ტაიმშერის) ხელშეკრულება). კანონპროექტის ტექსტში ყველგან გამოყენებულია ტერმინი „მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება“. თუმცა, ეს უნდა შეიცვალოს „ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით“. ასეთია 2011/83 დირექტივის ენა. განსხვავებული ტერმინი არ შექმნის პრობლემებს, რადგან იქ აღწერილი შედეგები იგივეა.

მე-9 მუხლი შემდეგი ფორმითაა შემოთავაზებული: პუნქტი 1) განსაზღვრავს

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების ძირითად ასპექტებს – ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ყოველგვარი საფუძვლის გარეშე – ასევე ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა, როგორც დისტანციური, ისე პირდაპირი გაყიდვების შემთხვევაში. პუნქტი 2) არეგულირებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შედეგებს მომხმარებლისა და გამყიდველისთვის. პუნქტი 3) წარმოადგენს გაერთიანებულ სიას დისტანციური და პირდაპირი გაყიდვებისთვის იმ შემთხვევებში, სადაც ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არ არის გათვალისწინებული.

კვლავაც უნდა აღინიშნოს, რომ როცა საქმე დეტალებს ეხება, არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები.

- აკლია: ინფორმაცია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების თაობაზე. 2011/83 დირექტივის მე-6 მუხლი დეტალურად განსაზღვრავს, თუ რა ტიპის ინფორმაცია უნდა იქნას მიწოდებული და რა ფორმით უნდა მოხდეს ეს. ერთადერთი მოთხოვნა ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით განმტკიცებულია მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონის მე-7 მუხლის 1) ი) პუნქტით.
- აკლია: დებულება ფორმასთან დაკავშირებით, თუ როგორც უნდა მოხდეს გაფრთხილების გაგზავნა ინფორმაციის გადაცემისა და ხანგრძლივად შენახვის საშუალებებით თუ წერილობით, მუხლი Art. 7 (1) და 8 (1), დირექტივა 2011/83.
- აკლია: როგორ და რა საშუალებით უნდა ისარგებლოს მომხმარებელმა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით, მუხლი 7, პუნქტი 1, მუხლი 11, დირექტივა 2011/83.
- აკლია: რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს არ შეატყობინეს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შესახებ, მუხლი 11, დირექტივა 2011/83 ვადას ერთ წლამდე აგრძელებს.
- აკლია: ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების ზემოქმედება დამატებით ხელშეკრულებებზე. თუმცა, სსკ-ს 370-ე მუხლი ადგენს გარკვეულ მცირე რეგულაციებს ე.წ. „ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებებზე“⁴².
- აკლია: განსხვავებული რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრულია 2011/83 დირექტივის 17 – 21 მუხლებში, არ არის გათვალისწინებული.

მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონპროექტის მე-9 მუხლის 1-3 პუნქტები სრულად არ ითვალისწინებს ევროკავშირის მოთხოვნებს იმ სფეროების მიმართ, რომლებიც განხორციელებისთვის არის შერჩეული:

- 1) აწესებს 7 დღის ვადას საწარმოს შენობის გარეთ დადებული ხელშეკრულებებისთვის და 14 დღეს - დისტანციური ხელშეკრულებების შემთხვევაში. ეს არ არის მე-9 მუხლთან შესაბამისობაში, რომელიც ითხოვს 14 დღის ვადას⁴³ და

⁴² იხ. კ. მელერ-ჰანიხი, ციტირებული ნაშრომის 2. ა) ბბ), გვ. 12 unser Preference to Knieper/Chanturia/Schramm, Das Privatrecht im Kaukasus und in Zentralasien, 2010, გვ. 478.

⁴³ იხ. კ. მელერ-ჰანიხი, ციტირებული ნაშრომის 2. ა) ბბ), გვ. 11.

გულდასმით გაწერს მოთხოვნებს იმასთან დაკავშირებით, თუ როდიდან უნდა დაიწყოს მისი ათვლა, რაც დამოკიდებულია ხელშეკრულების ტიპზე, ესაა გაყიდვების თუ მომსახურებების შესახებ.

- 2) მოიაზრება 2011/83 დირექტივის მე-13 და მე-14 მუხლების იმპლემენტაციისთვის, რომლებიც ეხება ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მოვაჭრისა და მომხმარებლის ვალდებულებებს. მე-2 პუნქტი არ ასახავს დეტალიზაციის ხარისხს. კერძოდ, უნდა გავითვალისწინოთ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება *Messner*-ის საქმეზე, სადაც სასამართლომ მიუთითა, რომ მომხმარებელმა ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდის განმავლობაში პროდუქტით სარგებლობისთვის მოვაჭრეს კომპენსაცია არ უნდა გადაუხადოს⁴⁴.
- 3) წარმოადგენს გამონაკლისების სიას. თუმცა, სია არასრულია. მუხლი 16 არ უტოვებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ვალდებულების არეალიდან გადახვევის საშუალებას.

წინადადება:

ქართველმა კანონმდებელმა უნდა გადაწყვიტოს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ჩაითვალოს ზოგად უფლებად, რომელიც გავრცელდება სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულებებზე, დისტანციურ, თუ პირდაპირ გაყიდვაზე, უძრავი ქონებით არაერთჯერადად სარგებლობის (ტაიმშერის) ხელშეკრულებაზე, სამომხმარებლო კრედიტზე, თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება მხოლოდ დისტანციურ და პირდაპირ გაყიდვაზე უნდა გავრცელდეს, რაც ამჟამად ხდება.

ნებისმიერ შემთხვევაში, მოდელური კანონის სტრუქტურა შესაძლოა გამოყენებული იქნას მე-9 მუხლის გადამუშავებისას. ჩვენ აქ განვასხვავებთ ინფორმაციას ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შესახებ (მუხლი 35, მოდელური კანონი), ხელშეკრულებიდან გასვლის ვადას (მუხლი 38), ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით სარგებლობას (მუხლი 39), ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგებს (მუხლი 40), დამატებით ხელშეკრულებებზე გავლენას (მუხლი 41), გამონაკლისებს, რომლებიც პირდაპირი და დისტანციური გაყიდვის შესახებ ხელშეკრულებებს უკავშირდება (მუხლი 42 და 43).

აუცილებლად უნდა მოხდეს ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სსკ-ს ორი დებულების, ასევე 336-ე და 370-ე მუხლების (ურთიერთდაკავშირებულ ხელშეკრულებებზე) მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონთან კოორდინირება. მე-9 მუხლი ნაწილობრივ იმეორებს და ნაწილობრივ ავსებს სსკ-ს 336-ე მუხლს. უკეთესი იქნებოდა ამ რეგულაციის სსკ-ში ინტეგრირება. თუ ასე არ მოხდება, მაშინ მუხლი 336 ამოღებული უნდა იქნას.

⁴⁴ ევროპული სასამართლოს საქმე C-168/00 *Messner*, ვ. მელერ-ჰანიხის ციტირებული ნაშრომი.

მუხლი 10. სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობა და მასთან დაკავშირებული გარანტიები

საქართველოს კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ (2017 წლის თებერვლის მდგომარეობით)

მუხლი 10. სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობა და მასთან დაკავშირებული გარანტიები

1. მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს გადასცეს ხელშეკრულების შესაბამისი საქონელი.
2. თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან საქონელი ჩაითვლება ხელშეკრულების შესაბამისად, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
 - ა) შესაბამემა მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის მიწოდებულ აღწერას და გააჩნია იგივე თვისებები, რაც მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის წარდგენილ საჩვენებელ საქონელს გააჩნდა;
 - ბ) ვარგისია იმგვარი სარგებლობისთვის, რომლისთვისაც ამ ტიპის საქონელი ჩვეულებრივ გამოიყენება;
 - გ) გამოსადეგია მომხმარებლის მიერ დასახული მიზნისათვის, რომლის თაობაზეც მოვაჭრე მომხმარებელს ხელშეკრულების დადების ეტაპზე დაეთანხმა;
 - დ) აქვს ის თვისებები, რომელიც ამ ტიპის საქონლისათვის ჩვეულებრივია და რომლის გონივრული მოლოდინიც მომხმარებელს შეიძლება ჰქონოდა საქონლის ბუნებიდან და იმ საჯარო განცხადებებიდან გამომდინარე, რომელიც ვაკეთდა მოვაჭრის, მწარმოებლის ან ბაზარზე განათავსებაზე პასუხისმგებელი სხვა პირის მიერ, მათ შორის რეკლამისა და ეტიკეტის საშუალებით. აღნიშნული წესი საჯარო განცხადებებთან მიმართებით არ გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც მოვაჭრე დაამტკიცებს, რომ მან არ იცოდა ან არ შეიძლებოდა სცოდნოდა იმ მახასიათებლების შესახებ, რომლებიც შემდგომ აღმოაჩნდა საქონელს ან მათ შესახებ წინასწარ ეცნობა მომხმარებელს ხელშეკრულების დადების დროს.
3. მოვაჭრის მიერ ან მისი პასუხისმგებლობის ქვეშ, საქონლის არასწორი დამონტაჟების შედეგად წარმოქმნილი შეუსაბამობა უთანაბრდება ხელშეკრულების პირობებთან საქონლის შეუსაბამობას, თუ საქონლის მონტაჟი ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. აღნიშნული წესი, ასევე ვრცელდება საქონელზე, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლის მიერ ასაწყობად ან დასამონტაჟებლად და საქონელზე თანდართული ინსტრუქციის ნაკლოვანების გამო აწყობა ან მონტაჟი არასწორად განხორციელდა.
4. მომხმარებელი, რომლის მიერ შეძენილი საქონელი ხელშეკრულების შეუსაბამო აღმოჩნდა, უფლებამოსილია მოითხოვოს მოვაჭრისგან საქონლის გადაცვლა ან შეკეთება, ხელშეკრულების პირობებთან მისი შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
5. მოვაჭრეს შეუძლია უარი თქვას როგორც ნაკლის გამოსწორებაზე, ასევე ნივთის შეცვლაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს. ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ გავიდეს ხელშეკრულებიდან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
6. საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაში მოყვანა უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში, რომლის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, მომხმარებელს შეუძლია მოითხოვოს:
 - ა) ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა საქონლის ხელშეკრულებასთან შესაბამისობაში მოყვანისათვის;
 - ბ) ხელშეკრულებიდან გასვლა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. (საქონლის დაბრუნება და თანხის უკან დაბრუნება. თანხის უკან დაბრუნების დროს მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი).
7. ხელშეკრულებასთან საქონლის შესაბამისობაში მოსაყვანად საჭირო ყველა ხარჯი (მათ შორის, ტრანსპორტირების, სამუშაო ძალის და მასალების) უნდა გაიღოს მოვაჭრემ.
8. მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნები, თუ საქონლის ხელშეკრულებასთან შეუსაბამობა აღმოჩენილია საქონლის მომხმარებლისთვის გადაცემიდან 2 წლის ან საქონლის ვარგისიანობის ვადის განმავლობაში, საქონელზე მისი მკაფიოდ მითითების შემთხვევაში და მოთხოვნის წარდგენა დასაშვებია საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობის აღმოჩენიდან 2 თვის ვადაში.

9. მოვაჭრე ვალდებულია დააკმაყოფილოს ამ მუხლით განსაზღვრული მომხმარებლის მოთხოვნები იმ შემთხვევაში, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ შეუსაბამობა ხელშეკრულებასთან წარმოიშვა მომხმარებლის მიერ საქონლით არასათანადო სარგებლობის გამო.

10. ბათილია ხელშეკრულების ან გარანტიის პირობა, რომელიც აუარესებს მომხმარებლის უფლებრივ მდგომარეობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილთან შედარებით.}

მე-10 მუხლში გათვალისწინებულია დირექტივა 99/44 სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შესახებ. ამ შემთხვევაშიც, დირექტივაში დაცული რამდენიმე წესი ერთ მუხლშია გაერთიანებული. 99/44 დირექტივა მინიმალური დირექტივაა და შესაბამისად, იგი განხორციელების პროცესისთვის მეტ არეალს აჩენს. თუმცა, ეს იმასაც ნიშნავს, რომ დირექტივა მომხმარებელთა უფლებების და სამართლებრივი დაცვის საშუალებების ყველა შესაბამის ასპექტს სრულად ვერ ფარავს. ეს განსაკუთრებით ეხება საკომპენსაციო საჩივრებს, სადაც ევროკავშირის კანონმდებლობა სრულყოფილი არ არის.

მე-10 მუხლს ნათელი სტრუქტურა აქვს. 1 პუნქტში მოცემულია გამყიდველის მოვალეობა მომხმარებელს მიაწოდოს უნაკლო პროდუქცია, მუხლი 2 (1) დირექტივა 99/44. პუნქტი 2) მეტ-ნაკლები სიზუსტით ითვალისწინებს ნაკლის ცნებას, როგორც ეს 99/44 დირექტივის მე-2 (2) ა)-დ) და (4) მუხლებშია მოცემული. პუნქტი 3) ითვალისწინებს 99/44 დირექტივის მე-2 მუხლს (5) (ე.წ. „იკეას მუხლი“). პუნქტი 4) – 5) განსაზღვრავს მომხმარებლის სამართლებრივი დაცვის საშუალებებს და ითვალისწინებს 99/44 დირექტივის მე-3 (2) მუხლს. პუნქტი 6) განსაზღვრავს 4 სხვადასხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებას შორის ურთიერთობას. პუნქტი 7) ეხება შეკეთების ხარჯებს, მუხლი 3 (4), დირექტივა 99/44. პუნქტი 8) ეხება ხანდაზმულობის ვადას, მუხლი 5 (1), დირექტივა 99/44, ხოლო მეორე წინადადება კი - ნებაყოფლობით შეტყობინების პერიოდს, მუხლი 5 (2) დირექტივა 99/44. პუნქტი 9) არეგულირებს მტკიცების ტვირთს, მუხლი 5 (3) დირექტივა 99/44. პუნქტი 10) ითვალისწინებს 99/44 დირექტივის მე-7 მუხლს.

დირექტივა უმნიშვნელოვანესია მომხმარებელთა უფლებების დაცვის განხორციელებისთვის. მასში მოცემულია ჰორიზონტალური წესები მომხმარებელსა და გამყიდველს შორის განხორციელებული ყველა ოპერაციის შესახებ. კვლავაც უნდა აღინიშნოს, რომ მუხლი 10 ამარტივებს ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებს.

- ის, რაც არ არის გათვალისწინებული, გახლავთ 99/44 დირექტივის მე-4 მუხლი, რომელიც ეხება მიწოდებათა ჯაჭვში გამყიდველის ზიანის პოტენციურ ანაზღაურებას. აკადემიურ წრეებში მიმდინარეობს განხილვა იმის შესახებ, არის თუ არა მე-4 მუხლი სავალდებულო, თუ მხოლოდ ნებაყოფლობითია იგი. ევროპულ სასამართლოს ჯერ არ ჰქონია შესაძლებლობა ემსჯელა მე-4 მუხლის შესახებ. სსკ-ს 499-ე მუხლი არ აგვარებს პრობლემას. იხ. ქვემოთ ჩემი შემოთავაზება.
- ის, რაც ასევე არ არის გათვალისწინებული, არის ნებაყოფლობითი გარანტიები, მუხლი 6, დირექტივა 99/44.
- უკანასკნელი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი შენიშვნა - მე-10 მუხლი არ ითვალისწინებს 2011/83 დირექტივის მე-20 მუხლს, რომელიც სამომხმარებლო

ნასყიდობის ხელშეკრულებებზე „რისკის გადატანის“ შესახებ სტანდარტებს განსაზღვრავს.

მიუხედავად იმისა, რომ მე-10 მუხლი ძირითადად დირექტივის მოთხოვნების შესაბამისია, კვლავ არსებობს გარკვეული ხარვეზები. შესაძლოა, ეს ნაწილობრივ თარგმანის ბრალიც იყოს.

- პუნქტი 2) ბ) და გ) არ არის სრულ შესაბამისობაში 99/44 დირექტივის მე-2 მუხლის (2) – (3) პუნქტებთან. თუმცა, განსხვავებები მცირეა.
- პუნქტები 4)-6) მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ გავიგოთ 4 სამართლებრივი დაცვის საშუალება და მათი ურთიერთქმედება. ჩემი აზრით, მომხმარებელს სრული თავისუფლება უნდა ჰქონდეს სხვადასხვა დაცვის საშუალებას შორის არჩევანში. დირექტივის ხასიათი საშუალებას აძლევს ქართველ კანონმდებელს შემოიღოს თავისუფალი არჩევანი.
- ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ქართველი კანონმდებელი არჩევანს 2-ეტაპიან გადაწყვეტაზე აჩერებს. პუნქტი 5) ეხება გაცვლას (შეცვლას) და შეკეთებას, როგორც ნაკლოვანების აღმოფხვრის პირველი რიგის საშუალებებს, პუნქტები 5) და 6) განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთა შესაბამისადაც მომხმარებელს შეუძლია გადავიდეს ფასის შემცირებაზე და ხელშეკრულებიდან გასვლაზე. ფორმულირება ცოტა დამაბნეველია. უფლება და საშუალება მომხმარებლის მხარესაა. მხოლოდ ამის შედეგ შეუძლია გამყიდველს მომხმარებლის უშუალო საჩივრის უარყოფა, რომელიც ფასის შემცირებას ან ხელშეკრულებიდან გასვლას ეხება იმ პირობით, რომ მას დასაბუთებული და საპატიო მიზეზები აქვს. გამყიდველს პირველს უნდა მიეცეს მდგომარეობის გამოსწორების საშუალება. შესაბამისად, მე-5 პუნქტის ფორმულირება უნდა შეიცვალოს.
- მე-7 პუნქტი ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების *Putz/Weber*-ის შესაბამისად უნდა შეფასდეს. ამ გადაწყვეტილებაში ევროპულმა სასამართლომ ნათლად განმარტა, რომ გამყიდველის ვალდებულება აანაზღაუროს საჭირო ჩანაცვლებით გამოწვეული ხარჯები, საკმაოდ ფართოდ ვრცელდება.⁴⁵

⁴⁵ ევროპული სასამართლოს გაერთიანებული საქმეები C-65/09 და C-87/09 (*Putz/Weber*) - „ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 1999 წლის 25 მაისის დირექტივის 1999/44/EU სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის გარკვეული ასპექტების შესახებ მუხლი 3 (2) და (3) ... უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ როდესაც ხელშეკრულებასთან შეუსაბამო სამომხმარებლო საქონელი, რომელიც კეთილსინდისიერად იქნა განთავსებული მომხმარებლის მიერ ..., შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ჩანაცვლების გზით, გამყიდველი ვალდებულია ან წაიღოს შეუსაბამო საქონელი ... და განათავსოს იქ ჩანაცვლებული საქონელი, ან გაიღოს შეუსაბამო საქონლის წაღებისა და ჩანაცვლებული საქონლის განთავსების ხარჯები ...“ 1999/44 დირექტივის 3 (3) მუხლი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ ის კრძალავს ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც გამყიდველს აძლევს უფლებას უარი თქვას საქონლის ჩანაცვლებაზე ... იმ საფუძველით, რომ ... ჩანაცვლება იწვევს მისთვის ხარჯებს, რაც არაპროპორციულია იმასთან შედარებით, რა ღირებულებაც ექნებოდა საქონელს ნაკლი რომ არ ქონოდა და ამ ნაკლის არსებობასთან შედარებით. თუმცა, ეს დებულება არ გამორიცხავს, რომ მომხმარებლის უფლება ნაკლის მქონე საქონლის გატანის ხარჯისა და ჩანაცვლებითი საქონლის განთავსების ხარჯების ანაზღაურებაზე, ასეთ შემთხვევაში, შეზღუდული იყოს გამყიდველის მიერ პროპორციული თანხის გადახდაზე.”

- მე-8 პუნქტით ხდება ძალზე სადავო ორთვიანი შეტყობინების ვადის შემოღება. ეს წესი ნებაყოფლობითია და არ არის სავალდებულო მისი შესრულება. ჩემი აზრით, მომხმარებელი არ უნდა დავავალდებულოთ ნაკლის შესახებ შეტყობინების მიწოდებით, რადგან ეს წესი არაპირდაპირ მას აკისრებს პროდუქტის შემოწმების ტვირთს.
- მე-9 პუნქტი შესაბამისობაშია მოსაყვანი 99/44 დირექტივის მე-5 (3) მუხლთან, რომელიც მტკიცების ტვირთს მიწოდებიდან 6 თვის ვადაში აბრუნებს.
- მე-10 პუნქტი ძალზე შორს მიდის მთელი ხელშეკრულების გაუქმებულად გამოცხადებით. ამის საჭიროება არ არის 99/44 დირექტივის მე-7 მუხლის შესაბამისად, რომელიც ეხება ხელშეკრულების მხოლოდ იმ პირობებს, რომლებიც გამორიცხავს ან ზღუდავს სავალდებულო უფლებებს, რომლებიც დირექტივის შესაბამისად, მომხმარებელს მიენიჭა.

წინადადება:

მე-10 მუხლი შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი სსკ-ს 490-ე et seq და 380-ე მუხლთან. სსკ-ში გათვალისწინებული ორმხრივი ხელშეკრულებების (იჯარა, მომსახურებები და ა.შ.) უმეტესობაში ხარისხის სტანდარტებზე სპეციფიკური ნორმები არსებობს და ეს მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულებაში არ ხდება. შესაბამისად, უპირიანი იქნება სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმების ინტეგრირება სსკ-ში მოხდეს და შესაბამისად შეიცვალოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებები. ამის გაკეთება გერმანიისა და ნიდერლანდების მაგალითების გათვალისწინებითაა შესაძლებელი, რაც თავდაპირველად ნასყიდობის ხელშეკრულებების შესახებ (მხარეთა ტიპებისაგან დამოუკიდებლად) საერთო წესების გაწერას გულისხმობს, ხოლო შემდგომ კი სამომხმარებლო ნასყიდობაზე დამატებითი წესების შემოღებას. კ. მელერ-ჰანიხმა მიმოიხილა სსკ-ს შესაბამის წესებსა და 99/44 დირექტივას შორის შესაძლო გართულებები. თავის შეფასებაში იგი განსაკუთრებით მიუთითებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესების სავალდებულო ბუნებაზე, რომლისგანაც არ შეიძლება გათავისუფლება, ასევე ერთი და იგივე ხელშეკრულების ჯაჭვში საბოლოო გამყიდველისთვის უფლებებში აღდგენის ორგანიზების შესაბამისი მექანიზმის არარსებობაზე. მუხლი 499 არ არის საკმარისად ნათლად ჩამოყალიბებული, რადგან რეგრესის უშუალო უფლებები არ არის გათვალისწინებული.⁴⁶

ამასთანავე, მუხლი 10 საჭიროებს მეტი სიცხადის შეტანასა და ზემოთ მოცემული დეტალური წინადადებების შესაბამისად გადამუშავებას.

⁴⁶ კ. მელერ-ჰანიხი, ციტირებული ნაშრომი, 2 ბ) დდ) გვ. 15.

მუხლი 11. მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებების დარღვევის შედეგები

ქსაქართველოს კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ (2017 წლის თებერვლის მდგომარეობით)

მუხლი 11. მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებების დარღვევის შედეგები

1. მომსახურების გამწევი ვალდებულია გაუწიოს მომხმარებელს ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების შესაბამისი მომსახურება.
2. მომხმარებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების გადაცილების, აგრეთვე ნაკლოვანებათა აღმოჩენის შემთხვევაში, მომსახურების გამწევს უნდა დაუდგინოს მომსახურების გაწევისა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გონივრული ვადა, რომლის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში მომხმარებელს უფლება აქვს:
 - ა) დაავალოს მომსახურების გაწევა/ნაკლოვანებათა აღმოფხვრა სხვა პირს მომსახურების გამწევის ხარჯზე;
 - ბ) მოითხოვოს მომსახურების ფასის ადეკვატური შემცირება;
 - გ) უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი ვადის განსაზღვრა არ არის სავალდებულო მაშინ, როდესაც აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება ან მომხმარებელმა ხელშეკრულების შესრულება დაუკავშირა მომსახურების დროულ მიღებას.
4. ხელშეკრულების დარღვევის ასეთ შემთხვევაში, როდესაც მომსახურების გამწევი დროულად არ შეუდგა მომსახურების გაწევას ან პროცესი ჭიანჭურდება, რაც შეუძლებელს ხდის მომსახურების დათქმულ ვადაში მომსახურების გაწევას, მომსახურების გამწევს არ აქვს უფლება მოითხოვოს მომსახურების პროცესში გაწეული დანახარჯების ანაზღაურება, აგრეთვე უკვე გაწეული მომსახურების საზღაური, თუ ნაწილობრივი შესრულებისადმი მომხმარებელმა დაკარგა ინტერესი.
5. მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნები მომსახურების მიღების დროს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ნაკლის აღმოჩენა შეუძლებელია მომსახურების მიღებისას – მთელი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში; ასეთის არარსებობის შემთხვევაში – მომსახურების მიღებიდან 2 წლის განმავლობაში.
6. მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს ნაკლოვანებათა უსასყიდლოდ აღმოფხვრა საგარანტიო ვადის დამთავრების შემდეგაც, თუ საგარანტიო პერიოდში აღმოჩენილი იქნება მომსახურების გამწევის მიზეზით დაშვებული არსებითი ხარვეზები. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მომხმარებელს უფლება აქვს ისარგებლოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით მინიჭებული უფლებებით.]

ამ მუხლის მნიშვნელობა და მიზანი ბოლომდე ნათლად არ არის ჩამოყალიბებული. თუ იგულისხმება ის, რომ მუხლმა უნდა დაარეგულიროს მომსახურების ვალდებულებები, თეორიულად მისი გამოყენება ყველა ტიპის მომსახურებების შემთხვევაში შეიძლება, რაც ნასყიდობის ხელშეკრულებებს ემატება. თუმცა, ისე ჩანს, თითქოს მე-10 მუხლი მთლიანობაში უფრო დეფექტური ან შეუსრულებელი ნასყიდობის ხელშეკრულებების არსებობის შემთხვევაში შესაბამის უფლებებსა და ღონისძიებებთან დაკავშირებულ ძირითად წესებს წარმოადგენს. თუ მუხლის ამგვარი ინტერპრეტაცია სწორია, მაშინ მუხლი 11 სსკ-ში მოცემული მომსახურების ხელშეკრულებების შესაბამის წესებთან უნდა მოვიდეს თანხვედრაში.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული კანონმდებლობა არ არის სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შესახებ დირექტივის ზუსტი ასლი, რომელიც წესების ყოვლისმომცველი ნაკრებია, რისი გავრცელებაც ხელშეკრულების ტიპის მიუხედავად ხდება. სწორედ ამიტომ, ქართველი კანონმდებელი სრულიად

თავისუფალია. ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, არ არსებობს შეზღუდვები იმ პირობით, რომ მუხლი 11 უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს სამომხმარებლო მომსახურების ხელშეკრულებებზე, რომლებიც ევროკავშირის სპეციალურ წესებს ექვემდებარება, მაგ. როგორცაა დირექტივა 2008/48 სამომხმარებლო კრედიტის, დირექტივა 2008/122 უძრავი ქონებით არაერთჯერადად სარგებლობის (ტაიმშერის) ხელშეკრულება, დირექტივა 2014/17 მომხმარებლებისთვის საცხოვრებელ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკრედიტო ხელშეკრულებების, დირექტივა 2014/92 საანგარიშსწორებო ანგარიშის ან დირექტივა 2015/2302 ტურისტული პაკეტების შესახებ.

ამგვარი პრობლემა შესაძლოა გაჩნდეს, თუ მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი საქონლის მიუწოდებლობის ან მისი მიწოდების დაყოვნების დასარეგულირებლად მოიაზრება, რაც მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ 2011/83 დირექტივის მოქმედების არეალში ხვდება. აღნიშნული დირექტივის მე-18 მუხლში წარმოდგენილი მოთხოვნები ჯერ-ჯერობით არ არის მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონის მე-8 მუხლში გათვალისწინებული (იხ. ზემოთ მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონის მე-8 მუხლი).

წინადადება:

როგორც ჩემთვის ცნობილია, მხოლოდ რამდენიმე ჩრდილოეთის ქვეყანა შეეცადა მომხმარებლის უფლებათა დაცვის საკუთარ კანონმდებლობაში გაეწერა ზოგადი ჩარჩო მომსახურების ხელშეკრულებებისთვის. მოდელური კანონი - მუხლები 79-95 - გაგებული უნდა იქნას, როგორც მომსახურების ხელშეკრულებების მომხმარებლის უფლებების დაცვის პერსპექტივიდან დანახვის მცდელობა.

ის, რაც ნამდვილად საჭიროა, არის იმის უზრუნველყოფა, რომ შესაბამისობა იყოს მომსახურების შესახებ ხელშეკრულებების შესახებ უფრო ზოგად წესებსა და სსკ-ს შორის.

მუხლი 12. ხელშეკრულების უსამართლო პირობები

ქსაქართველოს კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ (2017 წლის თებერვლის მდგომარეობით)

მუხლი 12. ხელშეკრულების უსამართლო პირობები

1. ხელშეკრულების პირობები, რომლებიც მხარეთა ინდივიდუალური შეთანხმების საგანს არ წარმოადგენდა, უნდა ჩაითვალოს უსამართლოდ, თუ ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპებს და იწვევს მომხმარებლის საზიანოდ გაუმართლებელ დისბალანსს სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობებში.
2. მტკიცების ტვირთი იმისა, რომ ხელშეკრულების პირობები წარმოადგენდა ინდივიდუალური მოლაპარაკების საგანს, ეკისრება მოვაჭრეს.
3. ხელშეკრულების პირობის უსამართლოდ ცნობისას მხედველობაში არ მიიღება ხელშეკრულების ფასისა და ხელშეკრულების საგნის ადეკვატურობა, თუ აღნიშნული წარმოადგენდა მხარეთა შეთანხმების საგანს.
4. მომხმარებლისათვის წერილობითი ფორმით მიწოდებული პირობები უნდა ჩამოყალიბდეს მკაფიო და გასაგებ ენაზე. ხელშეკრულების ბუნდოვანი პირობები განიმარტება მომხმარებლის სასარგებლოდ.

მე-12 მუხლი ცხადად ისახავს მიზნად 93/13 დირექტივის შესრულებას. აქ ორმაგი სირთულე არსებობს:

- სსკ-ს 342-348 მუხლები ითვალისწინებს ძირითად წესებს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან მიმართებაში ინდივიდუალური შეთანხმებებისგან განსხვავებით, მათ ინკორპორირებას, განმარტებას, ზოგადი სამართლიანობის ტესტს და იმ პირობების 2 ჩამონათვალს, რომლებიც ბათილად ითვლება (მუხლი 347) ან ბათილად მიიჩნევა (მუხლი 438) ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც არ მისდევენ სამეწარმეო საქმიანობას (მომხმარებლები).
- მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონის მე-12 მუხლი ნაწილობრივ თანხვედრაშია სსკ-ს 342-348 მუხლებთან. მე-12 მუხლი უფრო ფართოა, რადგან მე-2 პუნქტში განმარტებულია მტკიცების ტვირთი, ხოლო მე-4 პუნქტს შემოაქვს გამჭვირვალობის პრინციპი, რომელიც ჯერ-ჯერობით არ არის გათვალისწინებული სსკ-ით. თუმცა, მე-12 მუხლი ვიწროა მოქმედების არეალით და ზემოქმედებით, რადგან იგი ნათლად არ აყალიბებს იმას, რომ უსამართლო პირობები ბათილია, თუ არ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მე-12 მუხლში არ არის წარმოდგენილი პირობების ჩამონათვალი.

სამი წინადადება:

პირველი ნაბიჯი უნდა იყოს ორი ცნების შერწყმა. თავდაპირველი შეთავაზების შესაბამისად, რომელიც კერძო სამართლის ურთიერთობების სსკ-ში ინტეგრირებას ეხებოდა, 324-348 მუხლები უნდა შეივსოს მტკიცების ტვირთისა და გამჭვირვალობის პრინციპის შესახებ წესებით.

მეორე, დირექტივა 93/13 წევრი სახელმწიფოებისგან ითხოვს უზრუნველყოს ღონისძიებების შემოღება, რომელიც ითვალისწინებს ხელშეკრულების უსამართლო პირობების გაუქმებას, მათი ფაქტიური გამოყენებისგან დამოუკიდებლად. ეს უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოს სახელმწიფო ორგანოს და/ან მომხმარებლის უფლებების დაცვის ორგანიზაციას. უსამართლო პირობებზე აბსტრაქტული კონტროლი დელეგირებული უნდა იქნას საქართველოს მომხმარებლის უფლებების დაცვის კოდექსზე.

მესამე, განხორციელებისას აუცილებელია მხედველობაში იქნას მიღებული ევროპული სასამართლოს მდიდარი პრეცედენტული სამართალი. სასამართლო არ განმარტავს ინდივიდუალურ ხელშეკრულებებსა და სტანდარტული პირობების აბსტრაქტულ კონტროლს, როგორც 2 დამოუკიდებელ პროცედურას. პირიქით, ევროპული სასამართლო წევრ სახელმწიფოებს თხოვს, დარწმუნდნენ იმაში, რომ ის პირობები, რომლებიც უსამართლოდაა გამოცხადებული აბსტრაქტული კონტროლის პროცედურით, ამოღებული იქნება ინდივიდუალური ხელშეკრულებებიდანაც.⁴⁷ ის, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს, წევრი სახელმწიფოების გადასაწყვეტია. ყველაზე მასშტაბური

⁴⁷ საქმე C-472/10, Nemzeti F.H. v. Invitel, 2012 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება, ECLI:EU:C:2012:242

ინსტრუმენტი უსამართლო პირობებისთვის *erga omnes*-ის ძალის მინიჭება იქნებოდა. *Gutiérrez Naranjo*-ს საქმეზე⁴⁸ ევროპულმა სასამართლომ წარმოადგინა დასკვნა იმის შესახებ, თუ რას მიიჩნევს იგი უსამართლო პირობებზე 93/13 დირექტივის არსად:

- მიზანი, უფრო სუსტი მხარის დაცვა და ბაზრის გაწმენდა,
- ეროვნული სასამართლოების ვალდებულება გამოიძიონ სტანდარტული პირობების სამართლიანობა *ex lege*,
- აკრძალვა ეროვნული სასამართლოების მიმართ, რომ მათ არ შეასწორონ უსამართლო პირობა,
- რესტიტუციის მოთხოვნის უფლება,
- შემაკავებელი ეფექტი, რომელიც გამომდინარეობს *ex tunc*გაბათილებული პირობებიდან.

მუხლი 13. შეცდომაში შემყვანი რეკლამა და კომერციული საქმიანობა

ქაქარტველოს კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ (2017 წლის თებერვლის მდგომარეობით)

მუხლი 13. შეცდომაში შემყვანი რეკლამა და კომერციული საქმიანობა

3. ამ კანონის მიზნებისთვის შეცდომაში შემყვანია ნებისმიერი ფორმით გამოხატული რეკლამა, რომელიც უშუალოდ მიმართულია ან სხვაგვარად აღწევს მომხმარებელამდე ისეთი სახითა და შინაარსით, რომელიც მომხმარებელს უქმნის ან სავარაუდოდ შეუქმნის ისეთ მცდარ წარმოდგენას, რომლის საფუძველზეც მომხმარებელი იღებს გარიგების დადების გადაწყვეტილებას.

4. იმის დასადგენად შეცდომაში შემყვანია თუ არა რეკლამა, მხედველობაში მიიღება ყველა არსებითი გარემოება, მათ შორის მიწოდებული ინფორმაცია:

ა) საქონლის ბუნებისა და ძირითადი მახასიათებლების შესახებ, როგორცაა ვარგისიანობა, გამოყენებადობა, შემადგენლობა, წარმოების ადგილი, თარიღი და მეთოდი, მიზნისადმი შესაბამისობა, რაოდენობა, ზომა, წონა, სპეციფიკაცია, გეოგრაფიული ან კომერციული წარმომავლობა, გადაზიდვის და შენახვის პირობები, გამოყენების შედეგები, ასევე საქონლის ტესტირების შედეგები და მის საფუძველზე გამოვლენილი არსებითი გარემოებები;

ბ) ფასის, მისი შეთავაზების ან დაანგარიშების მეთოდისა და მასთან დაკავშირებული პირობების შესახებ;

გ) რეკლამის დამკვეთის/რეკლამის მწარმოებლის/რეკლამის გამავრცელებლის უფლებების შესახებ, როგორცაა მისი იდენტობა, კვალიფიკაცია, საწარმოო, კომერციული ან ინტელექტუალური საკუთრების უფლება.

5. შეცდომაში შემყვან კომერციულ საქმიანობად მიიჩნევა მომხმარებლისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება, რასაც შედეგად მოჰყვა ან შეიძლება მოჰყვეს მომხმარებლის მოტყუება ან შეცდომაში შეყვანა, ასევე ფაქტობრივად სწორი ინფორმაციის მიწოდება არასწორ კონტექსტში ან არასრულად, რის საფუძველზეც მომხმარებელმა დადო ან შეიძლება დაედო ხელშეკრულება, რომელსაც სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, არ დადებდა.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მოიცავს:

ა) საქონლის ბუნებასა და მთავარ მახასიათებლებს, როგორცაა ვარგისიანობა, გამოყენებადობა, შემადგენლობა, წარმოების ადგილი, თარიღი და მეთოდი, მიზნისადმი შესაბამისობა, რაოდენობა, ზომა, წონა, სპეციფიკაცია, გეოგრაფიული ან კომერციული წარმომავლობა, გადაზიდვის და შენახვის პირობები, გამოყენების შედეგები, ასევე საქონლის

⁴⁸ გაერთიანებული საქმეები C-154/15, C-307/15 und C-308/15 Francisco Gutiérrez Naranjo gegen Cajasur Banco S.A.U. (C-154/15) und Ana María Palacios Martínez gegen Banco Bilbao Vizcaya Argentaria SA (C-307/15) und Banco Popular Español SA gegen Emilio Irlés López, Teresa Torres Andreu (C-308/15), ECLI:EU:C:2016:552

ტესტირების შედეგები და მის საფუძველზე გამოვლენილი არსებითი გარემოებები;

ბ) ფასს ან ფასის დაანგარიშების სათანადო მეთოდს, ან მითითებას სპეციალურ ფასზე;

გ) მოვაჭრის ან მწარმოებლის შესახებ ინფორმაციას, მათ შორის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, სტატუსს, კვალიფიკაციას, საწარმოო, კომერციული და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ქონას ან მათთან კავშირს, ასევე სხვა უფლებებს წარმოებასთან ან კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებით;

დ) მომხმარებელთა უფლებების შესახებ ინფორმაციას, მათ შორის, მომხმარებლის მიერ საქონლის დაბრუნების, შეცვლის და შეკეთების, ასევე საჩივრებით მიმართვის შესაძლებლობისა და ფორმის შესახებ.

7. შეცდომაში შემყვანია კომერციულ საქმიანობა მაშინაც, როდესაც აღნიშნული საქმიანობა ყველა გარემოებისა და ვითარების გათვალისწინებით, იწვევს მომხმარებლის მიერ ისეთი ხელშეკრულების დადებას, რომელსაც იგი არ დადებდა იმ შემთხვევაში, რომ ჰქონოდა ინფორმაცია:

ა) საქონლის ან მომსახურების მარკეტინგის შესახებ, მათ შორის, შედარებითი რეკლამის სახით, რაც მოიცავს სავაჭრო მარკას, სახელს და სხვა განმასხვავებელ ნიშნებს;

ბ) საქონლის ან მომსახურების შესახებ სწორი ინფორმაციის მიწოდების პარალელურად, საქონლის ან მომსახურების ნაკლოვანების შესახებ.}

მე-13 მუხლი მოიცავს კომერციული პრაქტიკის შესახებ 2005/29 დირექტივის ელემენტებს, რომელიც არაკეთილსინდისიერი, შეცდომაში შემყვანი და აგრესიული რეკლამირების სრულ დაბალანსებას ახდენს. დირექტივა მოითხოვს:⁴⁹

დირექტივა შეეხება არაკეთილსინდისიერ, ბიზნესსა და მომხმარებელს შორის არსებულ კომერციულ პრაქტიკას პროდუქტთან დაკავშირებით კომერციული ოპერაციის წარმოებამდე, მისი წარმოებისას და მისი დასრულების შემდეგ. დირექტივა კრძალავს არაკეთილსინდისიერ, შეცდომაში შემყვან და აგრესიულ კომერციულ პრაქტიკას. კომერციული პრაქტიკა არაკეთილსინდისიერია, თუ (მუხლი 5(2)) (ა) პროფესიული გულმოდგინების მოთხოვნების საწინააღმდეგოა და (ბ) არსებითად ცვლის, ან შეიძლება არსებითად შეცვალოს საშუალო მომხმარებლის, ან კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფის საშუალო წევრის ეკონომიკური ქცევა პროდუქტთან მიმართებაში, რომელიც მას გაეგზავნა, ან რომელიც მისთვისაა განკუთვნილი. კომერციული პრაქტიკა შეცდომაში შემყვანია, თუ იგი შეიცავს ყალბ ინფორმაციას⁵⁰ ან შედარებით რეკლამას⁵¹ (მუხლი 6) ან შეცდომაში შემყვან არასაკმარის ინფორმაციას⁵² (მუხლი 7), რომელიც მომხმარებელს იმგვარი ოპერაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისაკენ უბიძგებს, რასაც სხვა შემთხვევაში არ მიიღებდა. კომერციული პრაქტიკა აგრესიულია, თუ იგი მნიშვნელოვნად აფერხებს ან შეიძლება მნიშვნელოვნად შეაფერხოს მომხმარებლის თავისუფალი არჩევანი ან მისი ქცევა პროდუქტთან მიმართებაში (მუხლი 8). დანართ I-ში წარმოდგენილია ის 32 პრაქტიკა, რაც ყოველთვის არაკეთილსინდისიერად, შეცდომაში შემყვანად და აგრესიულად მიიჩნევა.

⁴⁹ აღებულია ჰ.ვ. მიკლიცის ნაშრომიდან, ევროპის მომხმარებელთა დაცვის კანონის მიმოხილვა, 2017

⁵⁰ საქმე C-435/11, CHS Tour Services GmbH, პუნქტი 48 (თუ კომერციული პრაქტიკა შეცდომაში შემყვანადაა მიჩნეული, არ არის აუცილებელია განისაზღვროს, არის თუ არა ამგვარი პრაქტიკა პროფესიული გულმოდგინების მოთხოვნების საწინააღმდეგო, როგორც ეს მითითებულია მუხლში 5(2)(ა) და საქმეში C-388/13, Nemzeti Fogyasztóvédelmi Hatóság, პუნქტი 48 (კომერციული პრაქტიკა შეცდომაში შემყვანია მიუხედავად იმისა, რომ იგი მხოლოდ ერთ მომხმარებელს ეხებოდა).

⁵¹ ცნებისთვის „შედარებითი რეკლამა“, იხ. საქმე C-562/15, Carrefour Hypermarchés SAS, პუნქტი 40.

⁵² „დაუდევრობით შეცდომაში შეყვანის“ ცნებისთვის, იხ. საქმე C-310/15, Vincent Deroo-Blanquart, პუნქტი 45.

დეტალური 2005/29 დირექტივისგან განსხვავებით, მე-13 მუხლი მხოლოდ მატერიალური ნაწილის მცირე სეგმენტს ეხება და იგი არ განიხილავს პოტენციურ ღონისძიებებს:

- მუხლი 13 იყენებს რეკლამის და არა კომერციული პრაქტიკის ენას, რომელიც გათვალისწინებულია 2005/29 დირექტივის მე-2 მუხლის დ) პუნქტით. კომერციული პრაქტიკა უფრო ფართოა, რადგან იგი მოიცავს რეკლამასა და ვაჭრობის პოპულარიზაციას კომერციულ ოპერაციამდე და მის შემდეგ.
- 1) პუნქტში მოცემულია შეცდომაში შემყვანი რეკლამის განმარტება, რაც 2005/29 დირექტივის მე-6 (1) მუხლს ეყრდნობა.
- პუნქტი 2) დამაბნეველია, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს არასწორი თარგმანითა და დანომვრით. მე-2 პუნქტის ა, ბ, ა, გ ქვეპუნქტები ეხება ყველა იმ გარემოებას, რაც უნდა არსებობდეს იმისთვის, რომ განისაზღვროს, არის თუ არა რეკლამა შეცდომაში შემყვანი. მისი დიდი ნაწილი აღებულია 2005/29 დირექტივის მე-6 (2) მუხლიდან, თუმცა ყველა ელემენტი არ არის გათვალისწინებული.
- მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტში კეთდება მითითება „ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციაზე“. მე-13 მუხლში არ არის მე-3 პუნქტი. ჩამონათვალი ა, ბ, გ, დ, ე, ა, ბ 2005/29 დირექტივის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტზე უნდა მიუთითებდეს, რაც ყიდვის შესახებ შემოთავაზებას ეხება.

ამჟამინდელი ფორმით მე-13 მუხლი ვერ ჩაითვლება 2005/29 დირექტივით გათვალისწინებული კომპლექსური წესების შესრულებად, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებს:

- არაკეთილსინდისიერ კომერციულ პრაქტიკას
- შეცდომაში შემყვან კომერციულ პრაქტიკას
- დაუდევრობით შეცდომაში შეყვანას
- აგრესიულ კომერციულ პრაქტიკას
- შავ სიაში შეტანილ, არაკეთილსინდისიერ, შეცდომაში შემყვან და აგრესიულ კომერციულ პრაქტიკას
- საშუალო და მოწყვლად მომხმარებელს შორის გამიჯვნას.

აღსრულება სახელმწიფო ორგანოებისა და/ან მომხმარებლის უფლებების დაცვის ორგანიზაციების ხელშია, ხოლო შესაბამისი ღონისძიება კი უზრუნველყოფის ღონისძიებების დადგენაა.

წინადადება:

- მუხლი 13 შესაბამისობაშია მოსაყვანი საქართველოს კანონთან რეკლამის შესახებ. ეს კანონი არეგულირებს არაკეთილსინდისიერ, შეცდომაში შემყვანი და შედარებით რეკლამის ელემენტებს. საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ ბიზნესსა და ბიზნესს (b2b) და ბიზნესსა და მომხმარებელს (b2c) შორის ურთიერთობებს ეხება. თუმცა, კანონი არ ითვალისწინებს 2005/29 დირექტივას. ჩვენ არ ვიმსჯელებთ, შეესაბამება თუ არა (და რა ხარისხით ხდება ეს) საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ 2006/114 დირექტივას,

რომელიც არეგულირებს შეცდომაში შემყვან და შედარებით რეკლამას ბიზნესსა და ბიზნესს შორის ურთიერთობებში.

- უნდა ჩატარდეს საფუძვლიანი კვლევა, რათა დადგინდეს, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ 2006/114 დირექტივას, რომელიც შეცდომაში შემყვან და შედარებით რეკლამას ეხება, ასევე 2005/29 დირექტივასთან, რომელიც არაკეთილსინდისიერ კომერციულ პრაქტიკას შეეხება.
- ქართველმა კანონმდებელმა უნდა გადაწყვიტოს, უნდა მოიცვას თუ არა კანონმა რეკლამის შესახებ ბიზნესსა და ბიზნესს და ბიზნესსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობები, თუ ეს ორი, ცალ-ცალკე უნდა დარეგულირდეს.

მუხლი 14. ინფორმაცია საქონლის ფასის შესახებ

ქსაქართველოს კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ (2017 წლის თებერვლის მდგომარეობით)

მუხლი 14. ინფორმაცია საქონლის ფასის შესახებ

1. ამ კანონის მიზნებისთვის:

ა) გასაყიდი ფასი - ერთეული ან გარკვეული რაოდენობის საქონლის საბოლოო სარეალიზაციო ფასი, რომელიც მოიცავს დღგ-ს და სხვა გადასახადებს;

ბ) ერთეული ფასი - საქონლის საბოლოო სარეალიზაციო ფასი, რომელიც მოიცავს დღგ-ს და სხვა გადასახადებს ერთი კილოგრამი, ერთი ლიტრი, ერთი მეტრი, ერთი კვადრატული მეტრი ან ერთი კუბური მეტრი საქონლისთვის, ან განსხვავებული სიდიდის ერთეული, რომელიც ფართოდ არის გამოყენებული ქვეყანაში საქონლის საბაზრო მიმოქცევისას.

2. მოვაჭრე ვალდებულია ნათელი და გასაგები ფორმით უზრუნველყოს საქონელზე გასაყიდი და ერთეული ფასების მითითება. ერთეული ფასის მითითება არ არის აუცილებელი, თუ იგი გასაყიდი ფასის იდენტურია.

3. ფასის მითითება არ არის აუცილებელი, თუ:

ა) საქონლის მიწოდება მომსახურების ნაწილია;

ბ) საქონლის რეალიზაცია ხდება აუქციონზე;

გ) გასაყიდად წარმოდგენილია ხელოვნების ნიმუშები ან ანტიკვარული ნივთები.

4. საქონელზე, რომელიც წინასწარ არ არის შეფუთული და აიწონება ან აიზომება მომხმარებლის თვალწინ საკმარისია მხოლოდ ერთეული ფასის მითითება.}

მუხლი 14 ასრულებს 98/6 დირექტივას ფასთა მითითების შესახებ, რომელიც ეხება საქონლის ფასებს, რაც დაყოფილია გასაყიდ და ერთეულის ფასებად. იმის გათვალისწინებით, რომ დირექტივის მოთხოვნები უფრო დეტალურია, მე-14 მუხლში წარმატებით ხდება ფასის მითითების წესების მთავარი ელემენტების გათვალისწინება.

მე-3 პუნქტში გამოყენებულია მე-3 (2) მუხლით გათვალისწინებული ალტერნატივა, რომელიც ფასის მითითებისგან ათავისუფლებს „საქონლის მიწოდებას, რომელიც მომსახურების ნაწილია“. სრულიად საწინააღმდეგოა საჭირო მომხმარებლის დაცვის გადმოსახედიდან. მომსახურებები დომინირებს ეკონომიკაში და სწორედ იქ სჭირდება მომხმარებელს დახმარება. მოდელური კანონის მე-6-16 მუხლები გაგებულნი უნდა იქნას მომსახურების ფასთა მითითების ძირითადი წესების წარმოდგენის მცდელობად.

წინადადება:

მომსახურებების ფასის მითითებისაგან გათავისუფლების ხელახალი გადახედვა და ამის მაგივრად, არეალის გაფართოება და მომსახურებებზე ფასთა მითითების შესაბამისი წესების შემოღება.

მუხლები 15-22. მომხმარებელთა ომბუდსმენი

საქართველოს კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ (2017 წლის თებერვლის მდგომარეობით)

მუხლი 15. მომხმარებელთა ომბუდსმენის უფლებამოსილება

1. მომხმარებელთა ომბუდსმენი ზედამხედველობს საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ავლენს ამ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტს და ამ კანონით დადგენილი წესით ხელს უწყობს პირის დარღვეული უფლებების აღდგენას, მათ შორის მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის დავის მოგვარების ალტერნატიული საშუალებების გამოყენებით. მისი უფლებამოსილება ვრცელდება მომხმარებელთა უფლებების დაცვის ყველა სფეროზე, გარდა იმ სფეროებისა, რომლებსაც ჰყავთ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები.

2. საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად მომხმარებელთა ომბუდსმენი:

- ა) განიხილავს იმ მომხმარებლის ან მომხმარებელთა ჯგუფის განცხადებას, რომელიც ეხება მომხმარებელთა უფლებების დარღვევას.
- ბ) შეისწავლის მომხმარებლის უფლების დარღვევის ფაქტებს როგორც განცხადების ან საჩივრის არსებობისას, ისე საკუთარი ინიციატივით და გამოსცემს შესაბამის რეკომენდაციას;
- გ) ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას სასამართლოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით;
- დ) ამ კანონის მიზნებისათვის შეიმუშავებს მოსაზრებებს აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ და მათ საკანონმდებლო წინადადების სახით წარუდგენს საქართველოს პარლამენტს;
- ე) აღრიცხავს და ანალიზებს სტატისტიკურ მონაცემებს მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტების შესახებ;
- ვ) ახორციელებს ღონისძიებებს მომხმარებელთა უფლებების საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად;
- ზ) მომხმარებელთა უფლებების საკითხებზე თანამშრომლობს საერთაშორისო სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან.
- თ) ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია.}

მუხლი 16. მომხმარებელთა ომბუდსმენის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

მომხმარებელთა ომბუდსმენის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, ეს კანონი, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტები და კანონქვემდებარე აქტები.

მუხლი 17. მომხმარებელთა ომბუდსმენის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

1. მომხმარებელთა ომბუდსმენი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია. მომხმარებელთა ომბუდსმენზე რაიმე სახის არასათანადო ზემოქმედება და არასამართლებრივი ჩარევა აკრძალულია. რაც გულისხმობს პირის ქმედებას, კერძოდ, ზემოქმედებას, ჩარევას, ხელის შეშლას ან სხვაგვარ ზეგავლენას მომხმარებელთა ომბუდსმენთან მიმდინარე განხილვების შედეგებზე ან მის მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე ან აპარატის თანამშრომელთა საქმიანობაზე, იმ გზით, რომელიც არ

შეესაბამება ამ კანონსა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, იმ მიზნით, რომ მიიღოს სარგებელი ან განსაკუთრებული მოპყრობა;

2. მომხმარებელთა ომბუდსმენი საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს სამართლიანობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობისა და კანონიერების პრინციპებით.

3. მომხმარებელთა ომბუდსმენს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც მას როგორც მომხმარებელთა ომბუდსმენს, გაანდეს. ეს უფლება მომხმარებელთა ომბუდსმენს უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც უნარჩუნდება.

მუხლი 18. მომხმარებელთა ომბუდსმენს თანამდებობაზე დანიშვნა და მისი უფლებამოსილების შეწყვეტა.

1. მომხმარებელთა ომბუდსმენის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება.

2. მომხმარებელთა ომბუდსმენს თანამდებობაზე 5 წლის ვადით ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან კონსულტაციის საფუძველზე. ერთი და იგივე პირი მომხმარებელთა ომბუდსმენის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

3. მომხმარებელთა ომბუდსმენის შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ოდენობა დგინდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი აქტით.

4. მომხმარებელთა ომბუდსმენს უფლებამოსილება უწყდება:

ა) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შემთხვევაში;

ბ) საკუთარი უფლებამოსილების ზედიზედ 4 თვის განმავლობაში განუხორციელებლობის შემთხვევაში;

გ) მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში;

დ) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობის, უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების შემთხვევაში;

ე) მომხმარებელთა ომბუდსმენის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობის დაწყების ან თანამდებობაზე დანიშნიდან 10 დღის შემდეგ მომხმარებელთა ომბუდსმენის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობის გაგრძელების შემთხვევაში;

ვ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით;

ზ) გარდაცვალების შემთხვევაში.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მომხმარებელთა ომბუდსმენის უფლებამოსილება შეწყვეტილად ჩაითვლება. საქართველოს პრემიერმინისტრი გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტს მომხმარებელთა ომბუდსმენის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე.

6. მომხმარებელთა ომბუდსმენის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს მომხმარებელთა ომბუდსმენის მოადგილე (შემდეგში - მოადგილე).}

მუხლი 19. მომხმარებელთა ომბუდსმენის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა

1. მომხმარებელთა ომბუდსმენს უფლება არ აქვს, ახორციელებდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობებისა.

2. მომხმარებელთა ომბუდსმენს უფლება არ აქვს, იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

3. მომხმარებელთა ომბუდსმენი ვალდებულია თანამდებობაზე დანიშნიდან 10 დღის ვადაში შეწყვიტოს მომხმარებელთა ომბუდსმენის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა.}

მუხლი 20. მომხმარებელთა ომბუდსმენის აპარატის შემადგენლობა და მისი სტრუქტურა

1. მომხმარებელთა ომბუდსმენის უფლებამოსილების განხორციელების უზრუნველსაყოფად იქმნება მომხმარებელთა ომბუდსმენის აპარატი (შემდგომ - აპარატი), რომლის სტრუქტურას, მუშაობის წესს და ორგანიზებას განსაზღვრავს საქართველოს მომხმარებელთა ომბუდსმენი დებულებით.

2. მომხმარებელთა ომბუდსმენს ჰყავს მოადგილე, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება მომხმარებელთა ომბუდსმენის აპარატის დებულებით. მომხმარებელთა ომბუდსმენის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მომხმარებელთა ომბუდსმენი.

3. მომხმარებელთა ომბუდსმენის მოადგილეზე ვრცელდება ამ კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-

6 მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება, აგრეთვე მომხმარებელთა ომბუდსმენისთვის ამ კანონით დადგენილი თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნები.

4. მომხმარებელთა ომბუდსმენის მოადგილე და აპარატი მოქმედებენ მომხმარებელთა ომბუდსმენის სახელით და მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილებით.

5. მომხმარებელთა ომბუდსმენი:

ა) ზედამხედველობს და კოორდინაციას უწევს აპარატის საქმიანობას;

ბ) ამტკიცებს აპარატის დებულებას და აპარატის შინაგანაწესს;

გ) თანამდებობებზე ნიშნავს და თანამდებობებიდან ათავისუფლებს აპარატის თანამშრომლებს, აპარატის თანამშრომლებთან აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს;

დ) განსაზღვრავს აპარატის თანამშრომელთა ფუნქციებს;

ე) აპარატის თანამშრომლების მიმართ იყენებს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებებს;

ვ) ამტკიცებს აპარატში სტაჟირების გავლის წესს.

5. სასამართლოში წარმომადგენლობის სამსახური

სასამართლოში წარმომადგენლობის სამსახური არის აპარატის შემადგენელი ერთეული, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესითა ახორციელებს სასამართლოში მომხმარებლის წარმომადგენლობას.

6. სასამართლოში წარმომადგენლობის სამსახურის შემადგენლობაში შედიან ხელმძღვანელი, ადვოკატები, ადვოკატის თანაშემწე.

7. სასამართლოში წარმომადგენლობის სამსახურის ადვოკატი თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით, აპარატის დებულებითა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

8. დაუშვებელია სასამართლოში წარმომადგენლობის სამსახურის საქმიანობაზე უკანონო ზემოქმედება.

9. სასამართლოში წარმომადგენლობის სამსახურის ხელმძღვანელის, ადვოკატების, ადვოკატის თანაშემწეების უფლებამოსილებანი, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და გაცემის წესი განისაზღვრება აპარატის დებულებით.

მუხლი 21. განცხადების განხილვა

1. მომხმარებელთა ომბუდსმენი განიხილავს განცხადებას, რომელიც შეეხება მომხმარებელთა უფლებების ხელყოფას. განცხადება მომხმარებელთა ომბუდსმენს წარედგინება მატერიალური ან ელექტრონული ფორმით.

2. პირს უფლება აქვს, მომხმარებელთა ომბუდსმენს უფლებამოსილი ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით მიმართოს. პირის წარმომადგენელი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით წარმომადგენლისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

4. მომხმარებელთა ომბუდსმენი განცხადებას არ განიხილავს, თუ:

ა) განმცხადებელმა უარი თქვა განცხადების განხილვაზე;

ბ) განცხადება განმეორებით არის წარდგენილი, მის თაობაზე მიღებულია რეკომენდაცია და არ არსებობს ახალი გარემოება/მტკიცებულება;

გ) განცხადება არაუფლებამოსილი პირის მიერ არის წარდგენილი;

დ) განცხადება ანონიმურია ან განმცხადებელთან დაკავშირება შეუძლებელია;

ე) განმცხადებელმა ხარვეზი ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილ ვადაში არ გამოსასწორა.

6. განმცხადებელს მიეთითება ხარვეზის გამოსასწორების თაობაზე და მის გამოსასწორებლად მიეცემა გონივრული ვადა, თუ:

ა) განცხადება (გარდა ელექტრონული ფორმით წარდგენილისა) ხელმოუწერელია;

ბ) განცხადება წარმომადგენლის მიერ არის წარდგენილი და მას არ ერთვის წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) განცხადებიდან ვერ ირკვევა პირის როგორც მომხმარებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტი ან/და მოთხოვნის არსი.

7. მომხმარებელთა ომბუდსმენი განცხადებას განიხილავს მისი რეგისტრაციიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. განცხადების განხილვა ჩერდება მასში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის/დოკუმენტის გამოთხოვის შემთხვევაში. განცხადების განხილვის შეჩერება იწვევს მისი

განხილვის ვადის დინების შეჩერებას არაუმეტეს 45 კალენდარული დღისა.

8. მომხმარებელთა ომბუდსმენი უფლებამოსილია განცხადებაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია/დოკუმენტი გამოითხოვოს იმ პირისგან, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება/განხორციელებული ქმედება შესაძლოა არღვევდეს განმცხადებლის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

9. მომხმარებელთა ომბუდსმენი უფლებამოსილია განმცხადებელს მოსთხოვოს მისი განცხადების განხილვისთვის საჭირო დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტის წარდგენა. ამ შემთხვევაში მომხმარებელთა ომბუდსმენს ინფორმაცია/დოკუმენტი უნდა წარედგინოს გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნის მიღებიდან 30 კალენდარული დღისა.

10. მომხმარებლის უფლების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მომხმარებელთა ომბუდსმენი შესაბამის პირს მიმართავს მომხმარებლის დარღვეული უფლების აღდგენის ღონისძიებათა განხორციელების შესახებ რეკომენდაციით.

11. მომხმარებელთა ომბუდსმენის რეკომენდაცია უნდა შეიცავდეს:

ა) განმცხადებლის დასახელებასა და საიდენტიფიკაციო ნომერს;

ბ) მოვაჭრის რეკვიზიტებს;

გ) დარღვეული უფლების აღწერას;

დ) ფაქტების აღწერას;

ე) განმცხადებლის არგუმენტაციას;

ვ) აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მიღებულ ინფორმაციას/დოკუმენტს;

ზ) პირის დარღვეული უფლების აღდგენის ღონისძიებათა განხორციელების შესახებ რეკომენდაციას.

12. მომხმარებელთა ომბუდსმენის მიერ განცხადების განხილვის შედეგები ეცნობება განმცხადებელს.

13. მომხმარებელთა ომბუდსმენის მიერ განცხადების განხილვა არ ზღუდავს პირის უფლებას, გამოიყენოს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სხვა საშუალებები, მათ შორის, მიმართოს სასამართლოს.}

მუხლი 22. მომხმარებელთა ომბუდსმენის წლიური ანგარიში

1. მომხმარებელთა ომბუდსმენი ამზადებს წლიურ ანგარიშს განხორციელებული საქმიანობის შესახებ. მომხმარებელთა ომბუდსმენის წლიური ანგარიში საჯაროა და მის გამოქვეყნებას მომხმარებელთა ომბუდსმენი უზრუნველყოფს.

2. მომხმარებელთა ომბუდსმენი ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 მარტისა, პარლამენტს წარუდგენს მომხმარებელთა ომბუდსმენის საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

მუხლი 23. მომხმარებელთა ომბუდსმენის ქონება და დაფინანსების წყარო.

1. მომხმარებელთა ომბუდსმენს საკუთარი უფლებამოსილების შეუფერხებლად განსახორციელებლად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცემა შესაბამისი ქონება.

2. მომხმარებელთა ომბუდსმენის საქმიანობა ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

3. მომხმარებელთა ომბუდსმენი უფლებამოსილია, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსების გარდა, ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს გრანტი.

4. მომხმარებელთა ომბუდსმენი განკარგავს მისთვის გამოყოფილ სახსრებს და უზრუნველყოფს გადაცემული ქონების შენახვასა და მიზნობრივ გამოყენებას.}

შემდეგი მუხლები ორგვარად შეიძლება იქნას გაგებული:

- მუხლები 15-22 მოიაზრება დავის ალტერნატიული წესით გადაწყვეტის შესახებ 2013/11 დირექტივის შესრულებისთვის და/ან
- მუხლები 15-22 მოიაზრება მომხმარებლის უფლებათა დაცვის სააგენტოების შესაქმნელად, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან მარეგულირებელი ძალაუფლებით როგორცაა რეგულირების აღსრულების ღონისძიებების გატარება.

ორივე გზისთვის მოიძებნება მტკიცებულება. მე-15 (2) მუხლის შესაბამისად, მომხმარებელთა ომბუდსმენმა უნდა უზრუნველყოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელება. ჩვენი აზრით, ეს მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონისპროექტის მე-3 თავი უნდა იყოს. მე-15 მუხლის მე-2 (გ) პუნქტი აზუსტებს, რომ ომბუდსმენი „ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას სასამართლოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით“. ეს ისე გამოიყურება, თითქოს მომხმარებელთა ომბუდსმენი მომხმარებელთა რწმუნებულია, რომელსაც შეუძლია მოითხოვოს ქმედებისაგან თავის შეკავება, როგორც დამხმარე საშუალება უსამართლო პირობებთან (აბსტრაქტული კონტროლი) და არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. თუმცა, ქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნა არსადაა ნახსენები. შესაბამისად, შესაძლოა ომბუდსმენი მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლების სასამართლო დავების დროს დახმარების უფლებამოსილებით იყოს აღჭურვილი.

რადგან 15-22 მუხლები დავის ალტერნატიული წესით გადაწყვეტის მექანიზმის ძლიერ ელემენტებს შეიცავს, სასარგებლო იქნება იმ ძირითადი მოთხოვნების ხაზგასმა, რომელთა მიმართაც 15-22 მუხლები უნდა შეფასდეს:⁵³

ღირექტივა ვრცელდება სახელმეკრულებო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული ისეთი შიდასახელმწიფოებრივი და სახელმწიფოთაშორისი დავების სასამართლოს გარეშე გადაწყვეტაზე დავის ალტერნატიული მოგვარების საშუალებით (რომელიც სთავაზობს გამოსავალს ან მხარეებს კრებს დავების მეგობრული მოგვარების ხელშეწყობის მიზნით), რომლებიც ევროკავშირში მოღვაწე მოვაჭრესა და ევროკავშირის რეზიდენტ მომხმარებელს შორის ნასყიდობისა და მომსახურების ხელმეკრულებებიდან გამომდინარეობს. ღირექტივა დავის ალტერნატიული მოგვარების სუბიექტებისა და პროცედურების მიმართ ხარისხთან მიმართებაში შეთანხმებულ მინიმალურ მოთხოვნებს აწესებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ის, რომ მომხმარებლებს ჰქონდეთ სასამართლოს გარეშე მაღალი ხარისხის, გამჭვირვალე, ეფექტური და ზიანის ანაზღაურების სამართლიან მექანიზმებზე წვდომა, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა ევროკავშირში (მუხლი 3).

მე-II თავი აწესებს დავის ალტერნატიული მოგვარების საშუალებებზე წვდომის პირობებს და ითვალისწინებს მოთხოვნებს, რომლებიც ამ პროცედურებს ეხება: დავის ალტერნატიული მოგვარების სუბიექტებზე და პროცედურებზე წვდომა (მუხლი 5), ექსპერტიზა, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა (მუხლი 6) და გამჭვირვალობა (მუხლი 7). განსაკუთრებული აქცენტი კეთდება კონკრეტული პირობების შემოღებაზე, რომლებიც დავის ალტერნატიული მოგვარების პროცედურების ეფექტურობას (მუხლი 8) და სამართლიანობას (მუხლი 9) უზრუნველყოფს. მუხლი 11 (თავისუფლება) ითვალისწინებს, რომ ის ხელმეკრულებები, რომლებიც დავების მათი ალტერნატიული მოგვარების სუბიექტებზე გადაცემას ითვალისწინებს იქამდე, ვიდრე დავის

⁵³ ჰ.ვ. მიკლიცი, ევროპის მომხმარებელთა დაცვის კანონის მიმოხილვა, IV. 21.

მატერიალიზება მოხდება, ასევე სადაც მომხმარებელს ეზღუდება უფლება საჩივარი სასამართლოში შეიტანოს, სავალდებულო ძალის მქონე არ არის. **სამართლიანობის პრინციპი (მუხლი 12)** ითვალისწინებს პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ კანონთა კონფლიქტის შემთხვევაში, მომხმარებელმა ისარგებლოს დებულებებით გათვალისწინებული დაცვის ღონისძიებებით, რომლებიც ვერ გაუქმდება შეთანხმებით იმ წევრი ქვეყნის კანონმდებლობის ძალით, სადაც მომხმარებელი და მოვაჭრე ცხოვრობენ. და ბოლოს, წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ მხარეებს, რომლებიც დავის მოგვარების მცდელობისას მისი ალტერნატიული მოგვარების პროცედურებს მიმართავენ, რომლის შედეგიც სავალდებულო არ არის აღსასრულებლად, **საბოლოო ჯამში**, დავის ალტერნატიული გზით განხილვის პროცედურის განმავლობაში ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის გამო, არ შეეზღუდოთ სასამართლო პროცესის წამოწყების საშუალება აღნიშნულ დავასთან მიმართებაში (მუხლი 13).

თავი III (მუხლები 14 - 17) მოიცავს დებულებებს სახელმწიფოთაშორისი დავების შემთხვევაში მოვაჭრეების მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებებზე და დავის ალტერნატიული გზით მოგვარების სუბიექტების მხრიდან თანამშრომლობის შესახებ.

ამ სტანდარტების გათვალისწინებით, აუცილებელია შემდეგი ასპექტების დეტალური გაანალიზება:

- ომბუდსმენის ოფისი იმ ინსტიტუტად მოიაზრება, რომელიც პოლიტიკას შეიმუშავებს, თუ იგი აღჭურვილი უნდა იყოს იმგვარი უფლებამოსილებით, რომ განიხილოს ინდივიდუალური მომხმარებლის საჩივრები და ჰქონდეს მათი გადაწყვეტის მანდატი? მე-2 პუნქტის ა)-თ) ქვეპუნქტები არ მოიცავს ინფორმაციას ინდივიდუალური საჩივრების განხილვის მანდატის შესახებ. არაფერია მითითებული პროცედურის, ან გადაწყვეტილების ტიპის შესახებაც.
- მე-17 მუხლი მე-2 პუნქტში მითითებულია ოთხი პრინციპი, რომლითაც ომბუდსმენი მუშაობისას უნდა ხელმძღვანელობდეს. თუმცა, გამჭვირვალობა, თავისუფლება და ეფექტურობა არ არის გათვალისწინებული. კანონიერების პრინციპი გათვალისწინებულია მე-16 მუხლით, დირექტივა 2013/11.
- იმ შემთხვევაში, თუ ომბუდსმენს ეკისრება კონფლიქტების მოგვარება, კანონპროექტში არ არის გათვალისწინებული: პროცედურული წესები, რაც 2013/11 დირექტივის მე-12 მუხლითაა გათვალისწინებული.
- იმ შემთხვევაში, თუ ომბუდსმენს ეკისრება კონფლიქტების მოგვარება, კანონპროექტში არ არის გათვალისწინებული: რომ მომხმარებელს მაინც შეუძლია სასამართლოსთვის მიმართვა, მიუხედავად იმისა, თუ რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული. ეს არის შედეგი ევროპულ სასამართლოში განხილული საქმისა (Alassini).⁵⁴

⁵⁴ CJEU C-317/08, *ალასინი და სხვები*, ECLI:EU:C:2010:146.

წინადადება:

აღნიშნული მუხლები 2013/11 დირექტივის მოთხოვნებთან უნდა მოვიდეს შესაბამისობაში.

აგრეთვე, თუ ქართველ კანონმდებელს მომხმარებელთა ომბუდსმენი ესმის, როგორც სააგენტო, რომელსაც რეგულირების უფლებამოსილება და ამასთანავე, უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების უფლება ექნება, მაშინ ეს თავი შესაბამისად უნდა გადაკეთდეს.

მუხლი 24. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები

საქართველოს კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ (2017 წლის თებერვლის მდგომარეობით)

მუხლი 24. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები

1. არასამთავრობო ორგანიზაციები უფლებამოსილი არიან მონაწილეობა მიიღონ მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკის განვითარებასა და განხორციელებაში, მათ შორის:

ა) ითანამშრომლონ მეწარმეთა გაერთიანებებთან და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად;

ბ) ხელი შეუწყოს სამომხმარებლო დაცვის მედიაციის საშუალებით მოგვარებას;

გ) მონაწილეობა მიიღონ საქონლის და მომსახურების უსაფრთხოების მოთხოვნათა შესაბამისი მოთხოვნების შემუშავებაში და ჩაატარონ საქონლის და მომსახურების ხარისხისა და უსაფრთხოების დამოუკიდებელი ექსპერტიზა;

დ) მონაწილეობა მიიღონ მომხმარებელთა საგანმანათლებლო საქმიანობის და ინფორმირებულობის ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელებაში სახელმწიფო ორგანოებთან ერთად.

2. მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებული არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობები შეიძლება დაფინანსდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.}

საქართველო სრულიად დამოუკიდებელია სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოწყობაზე პროცედურების გაწერის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. თუმცა, თუ ამგვარ ორგანიზაციებს მომხმარებლის უფლებათა დაცვის შესახებ კანონმდებლობის აღსრულებაში რაიმე როლის შესრულება ეკისრებათ, მაშინ აქტუალური ხდება ევროპის მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონმდებლობა. ისინი სსკ-ს ნაწილია და გათვალისწინებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) ორგანიზაციების შესახებ თავში.

ჯერ-ჯერობით 24-ე მუხლი არ ანიჭებს სტატუსს მომხმარებლის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებს (რომელიც გათვალისწინებულია დირექტივებით 93/13, 2005/29 და 2009/22) გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიებების არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკის ან ხელშეკრულების უსამართლო პირობების წინააღმდეგ. თუ ეს ასეა, მაშინ 24-ე მუხლი აღნიშნულ დირექტივებთან შესაბამისობაში იქნება მოსაყვანი.

საქართველოს საკანონმდებლო ორგანო თავისუფალია ისეთი სახელმწიფო ორგანოსათვის სტატუსის მინიჭებაში, როგორც მომხმარებელთა ომბუდსმენი და - ან (!)

- მომხმარებლის უფლებათა დაცვის ორგანიზაცია. ამგვარია მომხმარებლის უფლებათა დაცვის ევროპული კანონმდებლობა.

რეკომენდაცია:

საჭირო იქნება აღნიშნული წესების სსკ-ში არასამეწარმეო (არაკომერციული) ორგანიზაციების შესახებ თავში მითითებულ დებულებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

მომხმარებლის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების დაფინანსებაზეც სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო. რასაკვირველია, სასარგებლოა ის ფაქტი, რომ სახელმწიფო დაფინანსებდეს განსაზღვრულ პროექტებსა თუ საქმიანობებს, მაგრამ შეიძლება გაჩნდეს აზრი, თუ რამდენად მიზანშეწონილია ის, რომ სახელმწიფომ ინსტიტუციური დაფინანსების უზრუნველყოფა მოახდინოს მომხმარებლის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებისთვის მაშინ, როცა საქართველო მიზნად ისახავს ისეთი მომხმარებლის უფლებათა დამცავი სააგენტოს (ომბუდსმენის ოფისის) შექმნას, რომელმაც მომხმარებლის ინტერესთა დაცვაზე უნდა იზრუნოს.

IV. პარლამენტის რეგლამენტის რეფორმა და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი

1. დებულება მომხმარებელთა ომბუდსმენის შესახებ

დებულების ახლად შემოღებული 229-ე მუხლი მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონპროექტში მომხმარებელთა ომბუდსმენის თაობაზე შემოთავაზებულ წესებთან მიმართებაში უნდა იქნას განხილული. ევროკავშირის კანონმდებლობის გადმოსახედიდან, კომენტარის გაკეთების საჭიროება არ არის. ამგვარი ტიპის წესები სრულად საქართველოს სახელმწიფოს დისკრეციაში რჩება.

2. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის ცვლილებები

საქართველოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი აერთიანებს ე.წ. ახალ მიდგომას სტანდარტებსა და ტექნიკურ რეგულირებაზე და 2001/95 დირექტივას პროდუქტის უსაფრთხოებაზე, ასევე 85/374 დირექტივას წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობაზე. ვიდრე შესატან ცვლილებებზე ვისაუბრებთ, წარმოგიდგინებ რამდენიმე მოსაზრებას წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობის შესახებ:

- წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობა დეტალურად და სწორადაა დარეგულირებული სსკ-ს 1009-ე მუხლით. შესაბამისი წესები პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ჩამორჩება დირექტივის მოთხოვნებს, ასევე სსკ-ში გათვალისწინებულ დებულებებს. მუხლები 6-8 ამოსაღებია.

რაც შეეხება პროდუქტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რეგულაციას, გვსურს, დავიწყოთ ორი კომენტარით არსებულ კანონთან მიმართებაში (და არა შემოთავაზებულ ცვლილებებზე). თუმცა, იმისთვის, რომ შესაბამისი კოდექსი სიღრმისეულად შევისწავლოთ, ამისთვის შესაბამისი მანდატი გვესაჭიროება:

- მუხლი 4,2 განსაზღვრავს უსაფრთხო პროდუქტს და ასევე მიუთითებს ფორმულაზე „დანიშნულებისამებრ“. ეს განმარტება არ არის 2001/95 დირექტივის მეორე მუხლის ბ) ქვეპუნქტთან შესაბამისობაში: „უსაფრთხო პროდუქტში“ იგულისხმება ნებისმიერი პროდუქტი, რომელიც გამოყენების ნორმალურ ან გონივრულად პროგნოზირებად პირობებში (ვარგისიანობის ვადის ჩათვლით და საჭიროების შემთხვევაში, ექსპლუატაციაში შეყვანის, ინსტალაციის ან მომსახურების მოთხოვნების გათვალისწინებით) არ წარმოადგენს საფრთხეს ან ქმნის მინიმალურ საფრთხეებს, რაც შესაბამისობაშია პროდუქტის გამოყენებასთან, მისაღებადაა მიჩნეული და თანხვედრაშია დაცვის უმაღლეს სტანდარტთან პირთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით.“ დირექტივაში მოცემულ განმარტებაში შეგნებულად არ არის გათვალისწინებული განზრახვა. მწარმოებელმა მხედველობაში უნდა მიიღოს *გონივრულად პროგნოზირებადი გამოყენება*.

- 2001/95 დირექტივა ნათლად განასხვავებს პროდუქტის გამოთხოვასა და პროდუქტის ამოღებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ცნება მოცემულია ტერმინათა განმარტებაში, ისინი სრულად არ არის ინტეგრირებული საქართველოს ხელისუფლების კომპეტენციათა განმარტებებში.

შემოთავაზებულ ცვლილებებთან დაკავშირებით:

- მე-12 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში შენარჩუნებულია ქართველი კანონმდებლის უფლება შემოიღოს უფრო მკაცრი ინფორმაციის მიწოდების წესები, ვიდრე ეს 2001/95 დირექტივითაა გათვალისწინებული. სამართლებრივი თვალსაზრისით, საკითხი ეხება, განსაზღვრავს თუ არა დირექტივა მაქსიმალურ სტანდარტებს. დირექტივაში ეს საკითხი არ არის გადაწყვეტილი. არც ევროპულ სასამართლოს ჰქონდა ამ საკითხის განხილვაში სიცხადის შეტანის შესაძლებლობა. თუმცა, წევრ სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური შეთანხმება მდგომარეობს იმაში, რომ დირექტივა მაქსიმალურ ჰარმონიზაციას უზრუნველყოფს. მიზეზი ეს გახლავთ. თითოეული წევრი სახელმწიფო იმ არგუმენტის წინაშე დადგებოდა, რომ ინფორმაციის მიწოდების დამატებითი მოთხოვნები ვაჭრობის ბარიერებად ჩაითვლებოდა და არ იქნებოდა გამართლებული, რადგან დირექტივა არ იძლევა ადგილობრივი ინფორმაციის მოთხოვნებიდან გადახვევის საშუალებას.
- აუცილებელია კიდევ ორი საკითხის გათვალისწინება: რა ტიპის ინფორმაციას გულისხმობს ქართველი კანონმდებელი და როგორ შეუძლია მას უზრუნველყოს, რომ ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნებში გათვალისწინებული იყოს პროდუქტის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტები. მეტი ინფორმაცია აუცილებლად დაცვისა და უსაფრთხოების უფრო მაღალ ხარისხს არ ნიშნავს.
- მე-13 მუხლის მე-6 პუნქტში ამოღებულია „მოთხოვნის შემთხვევაში“ და გამყიდველს ავალდებულებს უზრუნველყოს პროდუქტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება. დირექტივაში საუბარია დისტრიბუტორებზე და არა გამყიდველებზე. თუ ადრესატი მხოლოდ გამყიდველი უნდა იყოს, მაშინ ცვლილება ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებზეც იმოქმედებს. ევროპული კანონმდებლობა მხოლოდ მინიმალურ სტანდარტებს ითვალისწინებს. თუმცა, საკითხი მდგომარეობს იმაში, შეუძლია თუ არა (და რა ხარისხით) და უფლებამოსილია თუ არა გამყიდველი ინფორმაციის მიწოდებაზე და რა ტიპის ღონისძიებაა გათვალისწინებული იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი არასრულყოფილ და შეცდომაში შემყვან ინფორმაციას მიაწოდებს. მოკლედ, ჩვენ ვერ ვხედავთ პრობლემას ევროკავშირის კანონმდებლობის თვალსაზრისით, მაგრამ პრობლემაა ნასყიდობის ხელშეკრულებებში უფლებებსა და მოვალეობებს შორის სწორ ბალანსში.

წინადადება:

- ორი ცვლილება, რომლებიც დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენას ითვალისწინებს მე-12 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში, არ უნდა შევიდეს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში.
- მე-13 (6) მუხლის გათვალისწინებული ცვლილება განხილული უნდა იქნას ნასყიდობის ხელშეკრულებებზე პოტენციური ზეგავლენის კონტექსტში.

V. დასკვნები და რეკომენდაციები

ქვემოთ

- შავი შრიფტით მოცემულია ის დირექტივები და რეგულაციები, რომლებიც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად უნდა განხორციელდეს (სავალდებულოა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით).
- კურსივით მოცემულია ის დირექტივები და რეგულაციები, რომლებიც მითითებულია, მაგრამ არ შედის დანართში და ჩვენ მათი გამოყენების რეკომენდაციას ვიძლევი (სავალდებულო არ არის, მაგრამ რეკომენდირებულია გათვალისწინება). ჩვენ ვუთითებთ ასოცირების შესახებ ხელშეკრულების პრეამბულაზე და მის მიზნებზე, სადაც აღნიშნულია, რომ გათვალისწინებული უნდა იქნას ახალი განვითარებები.⁵⁵

ძირითადი გადაწყვეტილება:

- როგორ განისაზღვრება ურთიერთობა სსკ-სა და გათვალისწინებულ მომხმარებლის უფლებათა დაცვის კოდექსს შორის?
- რეკომენდაცია მდგომარეობს უსამართლო პირობების შესახებ 93/13 დირექტივის (სავალდებულოა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით), სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შესახებ 99/44 დირექტივის (სავალდებულოა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით) და მომხმარებლის უფლებათა დაცვის შესახებ 2011/83 დირექტივის სსკ-ში ინტეგრირებაში (სავალდებულოა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით).

რა უნდა იქნას თავიდან აცილებული:

- კანონმდებელმა დიდი ძალისხმევა უნდა გასწიოს იმის უზრუნველყოფისთვის, რომ გარკვეულ საკითხებზე არ მოხდეს კანონმდებლობის დუბლირება მსგავსი შინაარსის ნორმების რამდენიმე საკანონმდებლო აქტში გაწერის შემთხვევაში. თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება რეგულირდება სსკ-ით, იგი აღარ უნდა გაჩნდეს სხვა ისეთ კანონებში, როგორცაა მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონი და/ან პროდუქტის უსაფრთხოების შესახებ კანონი. თუ წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სსკ-ში, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები იმავე კანონში უნდა შევიდეს და არა სხვა კანონში. ალტერნატივის სახით, შესაძლებელია მისი მთლიანად ამოღება სსკ-დან.

ქვემოთ მოცემული ევროკავშირის რეგულაციებისა და დირექტივების იმპლემენტაცია საერთოდ არ მომხდარა:

- დირექტივა 2002/65 ფინანსური მომსახურებების დისტანციური გაყიდვის შესახებ (სავალდებულოა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით).

⁵⁵ იხ. კ. მელერ-ჰანიხი, ციტირებული ნაშრომი 1 ბ) ბბ) ახალი განვითარებები, გვ. 5.

- დირექტივა 2008/48 სამომხმარებლო კრედიტის შესახებ (სავალდებულოა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით).
 - დირექტივა 2008/122 დროის წილობრივი გადანაწილების შესახებ (ტაიმშერის ხელშეკრულება) საქართველოსთვის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად (სავალდებულოა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით).
 - დირექტივა 2011/83, მუხლები 17-21 (სავალდებულოა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით)
 - დირექტივა 2013/11 მომხმარებელთა დავების ალტერნატიული წესით გადაწყვეტის შესახებ (არ არის სავალდებულო, მაგრამ რეკომენდირებულია მისი იმპლემენტაცია).
 - დირექტივა 2014/17 იპოთეკის შესახებ (არ არის სავალდებულო, მაგრამ რეკომენდირებულია მისი იმპლემენტაცია).
 - დირექტივა 2014/65/EU MiFiD II (ბაზრები ფინანსურ ინსტრუმენტებში II) და MiFIR (ბაზრები ფინანსურ ინსტრუმენტებში და დებულება ცვლილებების შეტანის შესახებ) რეგულაცია 600/2014 (არ არის სავალდებულო, მაგრამ რეკომენდირებულია მისი იმპლემენტაცია).
 - დირექტივა 2014/92 საანგარიშსწორებო ანგარიშის შესახებ (არ არის სავალდებულო, მაგრამ რეკომენდირებულია მისი იმპლემენტაცია).
 - დირექტივა 2015/2302 ტურისტული პაკეტების შესახებ (სავალდებულოა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით, მის წინამორბედ 90/314 დირექტივასთან მიმართებაში).
 - დირექტივა 2009/22 (ყოფილი 98/27) უზრუნველყოფის ღონისძიებებზე (action of injunction) (სავალდებულოა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით)
 - რეგულაცია 524/2013 დავების ონლაინ გადაწყვეტის შესახებ (არ არის სავალდებულო, მაგრამ რეკომენდირებულია მისი იმპლემენტაცია).
 - რეგულაცია 2006/2004 მომხმარებელთა ინტერესების დაცვის ეროვნული უწყებების თანამშრომლობის შესახებ (სავალდებულოა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით).
- ევროკავშირის შემდეგი რეგულაციები და დირექტივები განხორციელდა, თუმცა კვლავაც საჭიროა ძირეული ცვლილებები:
- დირექტივა 93/13 უსამართლო პირობების შესახებ კომპეტენტური ორგანოების საშუალებით სტანდარტული პირობების აბსტრაქტულ კონტროლთან მიმართებაში (სავალდებულოა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით).
 - დირექტივა 2005/29 კომერციული პრაქტიკის შესახებ შესაბამისი აღსრულების მექანიზმის შინაარსთან და ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში (სავალდებულოა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით).
- ევროკავშირის შემდეგი რეგულაციები და დირექტივები განხორციელდა, თუმცა დამატებით რეგულირებას საჭიროებს:
- დირექტივა 98/6 ფასთა მითითების შესახებ (სავალდებულოა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით).

- დირექტივა 2011/83 (თუმცა, მუხლები 17-21 კვლავაც უნდა შესრულდეს) (სავალდებულოა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით).
- დირექტივა 93/13 ინდივიდუალურ ხელშეკრულებებში სტანდარტული პირობების კონტროლთან მიმართებაში, ძირითადად ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გათვალისწინების კუთხით (სავალდებულოა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით).
- დირექტივა 99/44 სამართლებრივი დაცვის საშუალებების ორსაფეხურიანი პროცედურის განმარტებასა და მტკიცების ტვირთის შებრუნებასთან მიმართებაში (სავალდებულოა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით).